კვირეული „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№4 (1594) 2-8 თებერვალი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

## უნდა ჩამოერთვათ თუ არა უმძიმეს დანაშაულზე მსჯავრდებულებს შეწყალების თხოვნის უფლება

## რატომ არის გაუპატიურებაზე მსუბუქი სასჯელი საქართველოში

# გიორგი ფხაკაძე: „მე კარგი ექიმი არ ვარ!“

## „ომიკრონს“ შვილები გაუჩნდა... საქართველოში ბავშვების ვაქცინაციაზე საუბარი ნაადრევია“

## არის თუ არა უკრაინაში პანიკა – ინტერვიუ კიევში მყოფ ქართველ დეპუტატთან

## ნონა მამულაშვილი: „უნდა დავბრუნდეთ პარლამენტში!“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

# ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების 17-წლიანი საიუბილო

## რატომ ვერ გაიხსნა დღემდე 3 თებერვლის ტრაგედია

# ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების 17-წლიანი საიდუმლო

## რატომ ვერ გაიხსნა დღემდე 3 თებერვლის ტრაგედია

ნინო დოლიძე

**საქართველოს უახლეს ისტორიაში სისხლიანი ფურცელი ბევრია. ყოფილი თუ მოქმედი თანამდებობის პირები გაურკვეველ ვითარებაში ადრეც გარდაცვლილან, მაგრამ იმან, რაც 17 წლის წინ, 2005 წლის 3 თებერვალს მოხდა, მთელი ქართული პოლიტიკა თავდაყირა დააყენა. შეიძლება, ეს ვინმეს გადამეტებულ შეფასებად მოეჩვენოს, მაგრამ გვინდა თუ არა, ფაქტია: ზურაბ ჟვანია თანამედროვე ქართული პოლიტიკის ერთგვარი ვარსკვლავი იყო, ვარსკვლავი, რომელმაც ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართულ პარლამენტარიზმს ჩაუყარა საფუძველი და მაშინ, როცა ამ გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა, თავად ჟვანია კი არა, ალბათ, მისი უახლესი გარემოცვაც ვერ წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა წლები და ადამიანი, რომელმაც მაღალი ტრიბუნიდან პირველმა თქვა, მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ევროპელიო, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვლებოდა. მოკლეს თუ ბუნებრივი სიკვდილით აღესრულა საქართველოს პრემიერ-მინისტრი? – ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხი 17 წლის მერეც არ არსებობს. სხვათა შორის, არსებობდა მოლოდინი, რომ ხელისუფლების შეცვლის მერე, 3 თებერვლის საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ასეთი რეალობაა: პრემიერის საფერფლით მოკვლის ვერსიის ბევრს ისევ სჯერა, ბევრი კი დარწმუნებულია, რომ ზურაბ ჟვანია უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა.**

და მაინც, რა მოხდა 2005 წლის 3 თებერვალს? – „ვერსია“ გთავაზობთ ამონარიდს მარინა შენგელიას რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებული ინტერვიუდან. ცნობისთვის: ქალბატონი მარინა, რომელიც 2015 წლის მიწურულს გავიცანი, ხმაურიანი პოლიტიკოსი არაა, მაგრამ პოლიტიკურ წრეებში კარგად იცნობენ და ისიც იციან, რომ აწ განსვენებული ზურაბ ჟვანიას მეგობარი იყო.

„ზურა ტყვიითაა მოკლული!“ – ეს ფრაზა მარინა შენგელიამ მითხრა, რომელმაც საუბრისას, ასევე, გამოთქვა მოსაზრება, რომ პრემიერის მკვლელობა დიდი ხნის განმავლობაში იგეგმებოდა.

სხვათა შორის, ცნობილია, რომ გარდაცვალებამდე არცთუ დიდი ხნით ადრე, ჟვანია აშშ-ში იმყოფებოდა. ეს ოფიციალური ვიზიტი იყო, რა დროსაც მარინა შენგელიას ვერსიით, ჟვანიამ „რაღაც დოკუმენტები“ დაკარგა. ერთი ვერსიით, გამქრალ-დაკარგული დოკუმენტაცია, რომელიც ექსსპიკერს ვაშინგტონში, ვიღაცისთის უნდა გადაეცა, სააკაშილისა და, საერთოდ, მისი გარემოცვის ფინანსურ მაქინაციებს ეხებოდა. შესაბამისად, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ პოლიტიკოსი, რომელიც პოლიტიკურ ოლიმპზე მწვანეთა მოძრაობის ლიდერობიდან ავიდა, შესაძლოა, სწორედ ამ დოკუმენტაციის ანაწერა გახდა ანუ ჟვანიამ რევოლუციონერ მეგობრებზე ისეთი რაღაც იცოდა, რაც თეთრ სახლში არ უნდა გაეგოთ. ამ ვერსიის დადასტურება, ცხადია, გაძნელდება, მაგრამ ამ კუთხით მსჯელობა ღირს.

**„ – ... ქალბატონო მარინა, პრემიერსა და მის ოჯახთან ახლოს იყავით. ოდესმე შეგიმჩნევიათ, რომ ჟვანიას კონსპირაციული ბინა ჰქონდა?**

– არა, ეს არ შემიმჩნევია, მაგრამ გამორიცხულია, ზურა საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში ყოფილიყო... ერთ ამბავს გიამბობთ, რომელიც რევოლუციამდე მოხდა: ჩემს არასამთავრობო ორგანიზაციაში ერთი კარგი პიროვნება იყო, გორის ქარხნის დირექტორი, რომელსაც ჩვენი პარტიის (იგულისხმება ჟვანიას პარტია, – ნ.დ.) გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა უნდოდა.

**– უკაცრავად, ეს პიროვნება კონსპირაციულ ბინასთან რა კავშირშია?**

– გეტყვით... ჩვენი პარტიის რაიონული ორგანიზაციები რომ ფუძნდებოდა, ერთხელ, შუაღამისას, გოკა გაბაშვილმა დამირეკა, იმ ადამიანის ძმისშვილი, ვინც გორში, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელად ინიშნება, დაშინების მიზნით, გაიტაცეს და ზურამ გთხოვა, შენს სასტუმროში მიიყვანოო. ჰოდა, თუ ზურას კონსპირაციული ბინა ჰქონდა, იქ არ მიიყვანდა?

**– ვერ გავიგე: გორის ორგანიზაციის სავარაუდო ლიდერის ძმისშვილი ვინ გაიტაცა?**

– როგორც ითქვა, მაშინდელმა ხელისუფლებამ...

**– თუკი ხელისუფლებამ გაიტაცა, თქვენს სასტუმროში როგორ უნდა მიგეყვანათ?**

– როცა დააბრუნეს, ზურას უნდოდა, რომ ერთი ღამე ჩემს სასტუმროში გაეთია და დილით, პარტიის ოფისში მიმეყვანა. მოკლედ, ეს ბავშვი ვნახე, გულმკერდთან გაკაწრული ჰქონდა. ზურამ რომ მკითხა, რას ფიქრობო, ვუპასუხე, ამაზე ჰაი-ჰუის ატეხვა არ ღირს. ეს რაღაც პიარისთვისაა გაკეთებული-მეთქი...

**– რაულ უსუპოვი როდიდან გახსოვთ, ქალბატონო მარინა?**

– რაულ უსუპოვი ერთი წყნარი ბიჭი იყო, რომელსაც არცთუ ხშირად ვხედავდი...

**– ერთი სიტყვით, იზიარებთ ვერსიას, რომ პრემიერი უბედურ შემთხვევას კი არ შეეწირა, არამედ, მოკლეს, არა?**

– დიახ, ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული!

**– თქვენი ვერსიით, ჟვანია რატომ უნდა მოეკლათ?**

– აი, სწორედ ესაა საინტერესო. ვიდრე პრემიერი გახდებოდა, ზურა ჯერ სახელმწიფო მინისტრი იყო, დამიბარა და მითხრა, მარო, მინდა, მცირე და საშუალო ბიზნესის ფონდი გავაკეთო, რომელსაც შენ უხელმძღვანელებო. ვიკითხე, ფონდს ვინ დააფინანსებდა. „იბიარდი“ დაგვპირდა, თუმცა როგორც მერე გაირკვა, თანხების გამოყოფა ზაფხულამდე გადასწიეს და ამასობაში, პრივატიზაციაც დაიწყებაო.

სხვათა შორის, ზურასთან, კანცელარიაში, ხშირად მივდიოდი. ვაშლიჯვარში, როცა თვითონ არ იყო, ზურას ოთახში არასოდეს შევდიოდით. ერთხელ, კანცელარიაში ვარ, ზურა მიშასთანაა ასული და ვხედავ, ბალაგანია – კობა ხარშილაძე ზურას კაბინეტში შედი-გამოდის. ამის შესახებ ზურას ვუთხარი, კაცი სახელმწიფო მინისტრი ხარ და ეს რა ხდება-მეთქი. უსიამოვნო ლაპარაკი კობა ხარშილაძესთანაც მქონდა, ქალბატონო მარინა, ზურას რატომ უთხარითო. კი არ ვუთხარი, მაინტერესებს, დაცვის უფროსი ხარ და რატომ უშვებ, რომ ვისაც უნდა, შედის და გამოდის-მეთქი. მოკლედ, ისე გააკეთეს, რომ ზურასთან, კანცელარიაში აღარ მივსულიყავი...

ზურამ ჯერ ეკონომიკის მინისტრის მოადგილეობა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, ამას სხვა ცოდნა სჭირდება-მეთქი. ვინაიდან ინგლისური კარგად არ ვიცი, ტურიზმის დეპარტამენტის უფროსობაზეც უარი ვთქვი, თუმცა მოადგილეობაზე თანახმა ვიყავი, მაგრამ არც ეს გამოვიდა ანუ რაკი არსად დამნიშნა, ყველას ეგონა, რომ ზურაზე ნაწყენი უნდა ვყოფილიყავი.

**– იყავით?**

– არა, რადგან ზურა სხვა ტიპი იყო – იმას კი არ ფიქრობდა, ვალდებულების გამო, ვინმე სად დაენიშნა, არამედ, ისე ფიქრობდა, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და ბოლოს, იცით, სად მნიშნავდა?

**– სად?**

– ყველაფერს დღეების მიხედვით გეტყვით – პარასკევი, შაბათი, კვირა, ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათს დაიღუპა.

**– სად გნიშნავდათ?**

– ზურამ დამირეკა და მითხრა, მარო, სახელმწიფო შპს-ს ვაკეთებთ, პროფკავშირებიდან ქონება მოგვაქვს, ამ შპს-ს დირექტორად გნიშნავთ და ხვალ ბენდუქიძეს შეხვდებიო.

**– ამ დროს ბენდუქიძე ეკონომიკის მინისტრია, არა?**

– დიახ, ადეიშვილი კი – გენერალური პროკურორი...

**– ბენდუქიძეს შეხვდით?**

– დიახ, ნორმალურად შემხვდა. სხვათა შორის, ზურამ ტელეფონზე ისიც მითხრა, ბენდუქიძეს რომ შეხვდები, მერე შენი მოსაზრება მითხარიო. ეს რომ არ ეთქვა, შეიძლება, ეს თემა აღარ განმევითარებინა და პირდაპირ ამ შპს-ს დირექტორად დავმჯდარიყავი. ერთი სიტყვით, ბენდუქიძემ ეკონომიკის სამინისტროსა და პროფკავშირებს შორის ხელმოწერილი მემორანდუმი მომცა, სადაც, დაახლოებით, 250 მილიონის ქონებაზე იყო ლაპარაკი ანუ მთელი საქართველოს კურორტებზე, ამის ჩამონათვალი დღესაც მაქვს. სხვათა შორის, ზურასთვის ნათქვამი მქონდა, რომ ჩვენი ეკონომიკის გზა ტურიზმი კი არა, კურორტოლოგიაა, რადგან ტურისტზე მეტ ფულს, დასასვენებლად ჩამოსული ხალხი ტოვებს...

ბენდუქიძის მიერ მოცემულ მემორანდუმს გადავხედე და აღმოვაჩინე, რომ სანატორიუმების უმეტესობაში ლტოლვილები ცხოვრობდნენ. იდეა გამიჩნდა, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში, ამდენი მიტოვებული სოფელია.

*დასასრული მე-3 გვერდზე*

# ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების 17-წლიანი საიდუმლო

*მე-2 გვერდიდან*

ჰოდა, ლტოლვილებს, სანატორიუმებიდან გამოსახლების სანაცვლოდ, ფული კი არ მივცეთ, არამედ, ამ სოფლებში დასახლება შევთავაზოთ-მეთქი, თან ქვეყანა ხომ ძლიერ სოფელზე დგას, თუმცა ბენდუქიძე, როგორც გაირკვა, სხვანაირად ხედავდა. ამ იდეის შესახებ ჟვანიასაც ვუთხარი, ზურა, სახელმწიფო შპს გასაგებია და ისიც მესმის, რომ პრივატიზაციის 70 პროცენტი სახელმწიფოსი იქნება, 30 კი – პროფკავშირების, მაგრამ დანარჩენი ქონება განადგურდება. ამიტომ, მოდი, ფონდი გავაკეთოთ, სადაც შემოსავლებიდან ლტოლვილებისთვის რაღაც თანხა შევა და ამ თანხით სოფლებში სახლებს ვუყიდით, თან შევისწავლით, რომელ რეგიონში, რა არის განვითარებული. მაგალითად, იმერეთში ტყემალი და დაფნა მოდის, ჩაბარების პუნქტი ან სახელმწიფო ქარხანა გავხსნათ, სადაც ლტოლვილებს დავასაქმებთ-მეთქი...

**– ჟვანიასთვის თქვენი იდეა მისაღები აღმოჩნდა?**

– იცით, რა მითხრა?

**– რა?**

– მარო, რა ჭკვიანი ხარ, „სვეცკი“ კი მყავხარ, მაგრამ შენი რენომე ლტოლვილებთანაც გამოდგება და მათი ხმები მომავალში დამჭირდებაო.

**– ანუ, ეს საუბარი ჟვანიასთან, გარდაცვალების წინა დღეებში გქონდათ?**

– არა, 2004 წლის გაზაფხულზე.

**– მაშასადამე, 2004 წლის გაზაფხულზე, ჟვანია უკვე დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის დაწყებას ფიქრობდა?**

– ასპროცენტიანი! ზურა ოპოზიციაში წასვლას აპირებდა!

**– თქვენი აზრით, ამიტომ მოკლეს?**

– გამორიცხული არაფერია...

ჟვანიასგან რომ გამოვედი, დათო ტყეშელაშვილმა მკითხა, რაო, რა გითხრაო. ასე და ასე-მეთქი. დათომ გამაფრთხილა, მარო, ეგ სიტყვები არსად გაიმეოროო.

ზურა დეკემბერში ანუ გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე, აშშ-ში იყო. არ მაქვს უფლება, იმ პიროვნების ვინაობა დავასახელო, რომელმაც მერე მითხრა, აეროპორტში შევხვდი და ძალიან აფორიაქებული ჩანდა, საბუთები დაკარგაო. როგორც ვიცი, ზურამ აშშ-ში რაღაც მასალები წაიღო.

**– რა მასალები?**

– არ ვიცი...

**– ეს მასალები, შეიძლება, სააკაშვილის კომპრომატები ყოფილიყო?**

– აზრზე არ ვარ... ზურას ეტყობოდა, რომ ის, რაც ხდებოდა, ძალიან არ მოსწონდა...

**– სახელმწიფო შპს-ს შექმნის ამბავი როგორ დამთავრდა?**

– ფონდის იდეა რომ გაიგეს, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო.

**– რას გულისხმობთ?**

– მაგალითად, ერთხელ, ბენდუქიძემ მითხრა, თქვენზეც პრემიერმა მთხოვა და ქოჩლაძეზეცო, რომელიც სინამდვილეში მისი კაცი იყო... მერე, იცით, ეს ვინ წაიღო?

**– ვინ?**

– მიშას მამამ. ესე იგი, პრემიერის გაგზავნილ ადამიანთან ანუ ჩემთან ჭიდაობა მიდიოდა. მაშინ ზურას თანაშემწე კახა ბაინდურაშვილი იყო, რომელმაც ერთხელ დამირეკა და მითხრა, ქალბატონო მარინა, შპს-ს დირექტორობაზე მალე დასთანხმდითო, მაგრამ ვუპასუხე, არა, ფულის საჭრელი მანქანის ხელმძღვანელად არ წავალ-მეთქი.

**– ქალბატონო მარინა, სულ რა თანხაზე იყო ლაპარაკი?**

– როგორც მითხრეს, მთელი ქონება 250 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

**– მაშასადამე, ჟვანიას მკვლელობის ერთ-ერთი საბაბი, შესაძლოა, ეს 250 მილიონი დოლარი გახდა?**

– არა, უფრო დიდი რამ მგონია.

**– მაინც, რა?**

– ალბათ, უფრო იარაღის ბიზნესი... ზურას გარდაცვალების მერე, ბათუმის პორტიც ხომ უცნაურად გაიყიდა, აეროპორტიც...

**– ... ჟვანია ბოლოს როდის ნახეთ?**

– აქეთკენ მივდივარ... ბენდუქიძეს ვეუბნები, ლტოლვილები სოფლებში ჩავასახლოთ-მეთქი და მპასუხობს, ქუთაისში კორპუსები ავაშენოთო. ჯერ ერთი, ვიცოდი, რომ სამშენებლო ფირმა ჰქონდა. მეორეც, თუკი ლტოლვილებს ქალაქში დავასახლებდით, ისევ უმუშევრები დარჩებოდნენ. მე კი იმას ვცდილობდი, რომ ეს ხალხი სოფლისთვის მიმება, რათა თავისი მეურნეობა განევითარებინათ, მაგრამ ბენდუქიძეს არ შევეწინააღმდეგე, რადგან ზურასგან დარიგებული ვიყავი, არ გადაიმტეროო.

აი, ზურას ბოლო დღეებამდეც მივედი: ბენდუქიძე რეფორმების სახელმწიფო მინისტრად გადაჰყავს, ეკონომიკის მინისტრად კი ლექსო ალექსიშვილი ინიშნება. 29 იანვარს, პარასკევს, კახა ბაინდურაშვილი მირეკავს და მეუბნება, ეკონომიკის მინისტრად ლექსო ალექსიშვილი დაინიშნა, რომელიც დაგეკონტაქტებათო.

**– დაგეკონტაქტათ?**

– დიახ, დამირეკა და მითხრა, პრემიერისგან დავალება მაქვს, რომ უნდა შეგხვდეთ, მაგრამ დავოსში მივფრინავ, საიდანაც ორშაბათს ჩამოვალო. შაბათ-კვირას ანუ 30-31 იანვარს, არაფერი მომხდარა, ორშაბათს, პირველ თებერვალს, ლექსო ალექსიშვილი აეროპორტიდან მირეკავს, ერთ საათში, სამინისტროში ვიქნები და თუ შეგიძლიათ, მობრძანდითო. მივედი და ჩემი კონცეფცია გავაცანი. სხვათა შორის, ბენდუქიძე მეუბნებოდა, ადეიშვილი ამბობს, პროფკავშირების ხელმძღვანელი, ირაკლი ტუღუში ქონების გადმოცემაზე თუ არ დაგვთანხმდება, სულ წავართვათო. არ ვიცი, ეს რა თამაში იყო, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ლექსოს ვუთხარი, ამ ეტაპზე, ხელფასი არ მინდა, მთავარია, საქმე დავიწყოთ-მეთქი... იმ საღამოს, ლექსო ალექსიშვილი პრემიერს შეხვდა, სამშაბათს ისევ დამირეკა, ისევ შეხვედრა მთხოვა და მითხრა, რომ ფონდის წესდება იუსტიციის სამინისტროში გადააგზავნა, საიდანაც პასუხი ხუთ სამუშაო დღეში მოვიდოდა და ფონდი მუშაობას დაიწყებდა.

**– ყველაფერი ეს, 2 თებერვალს ხდება?**

– დიახ... 3 თებერვალს, ღამე კი ზურა იღუპება.

**– ყველაფერ ამას, ჟვანიას გარდაცვალებასთან რა კავშირი აქვს?**

– არ ვიცი... უბრალოდ, ის მოგიყევით, რაც იყო...

არ ვამბობ, რომ ზურა ზემოხსენებული 250 მილიონი დოლარისთვის მოკლეს, ეს უფრო პოლიტიკური მკვლელობა იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზურას გარდაცვალებიდან ერთ კვირაში, ეს ქონება სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს გადაეცა და არავინ იცის, სად წავიდა. ისიც ფაქტია, რომ ლტოლვილები ამ შენობებიდან გამოყარეს...

**– ქალბატონო მარინა, ვერსიას, რომ ჟვანია საფერფლის ჩარტყმით მოკლეს, იზიარებთ?**

– იცით, რაში ვარ დარწმუნებული? – ზურა სახლში მიდიოდა, მაგრამ ზარის გამო, გზიდანაა მიბრუნებული.

**– ანუ, უსუპოვმა დაურეკა?**

– გამორიცხულია, უსუპოვის ზარის გამო ზურა მიბრუნებულიყო. ეს ზარი ზემოდან იქნებოდა. არ ვიცი, რა საქმეზე მიიყვანეს, მაგრამ ეტყობა, თანხმობა არ მისცა. სხვათა შორის, თავის დროზე, ზურა რკინიგზის გაყიდვის წინააღმდეგი წავიდა... მოკლედ, სადაც მიიყვანეს, იქ რაღაც მოხდა და, საერთოდ, მგონია, რომ ტყვიით მოკლეს!

ზურას გარდაცვალება რომ გავიგე, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, სად წავსულიყავი და კანცელარიაში წავედი. უფრო სწორად, ჯერ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივედი, მაგრამ პროზექტურაში ვერ შევედი და ვიფიქრე, კანცელარიაში მივალ და ვიკითხავ, რას ვშვრებით-თქო. იქ ერთი ადამიანი ვნახე, რომელმაც ჩაილაპარაკა, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემაო. კანცელარიიდან, ზურასთან, სახლში წავედი, სადაც რემა დეიდას, ნინო ქადაგიძისა და ჩემს მეტი არავინ იყო. ხუთ წუთში, ნოღაიდელი მოვიდა, რომელსაც ვუთხარი, კოსტავა რომ მოკლეს და ზვიადი სიტუაციას ვეღარ მართავდა, ახლაც ის დაგვემართა-მეთქი. დამეთანხმა, ზუსტადო...

მახსოვს, ნინო ოთახში ბოლთას სცემდა და ამბობდა, სამი საათი პროზექტურაში რას უკეთებენო. ზურა რომ მოასვენეს, ტუჩზე ნაჭდევი მეც ვნახე... დარწმუნებული ვარ, ეს ემოციის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა არაა. შეიძლება, გათამაშებულია, რომ თითქოს, ემოციის დონეზე მოხდა, მაგრამ ვფიქრობ, დიდხანს იგეგმებოდა, დაწყებული „შეგდებული“ დაცვიდან. მოკლედ, მჯერა, რომ ჩემი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მოკლეს და მინდა, გავიგო, რატომ მოკლეს!

**– ერთი სიტყვით, ქალბატონო მარინა, თქვენი ვერსიით, ჟვანია ტყვიით მოკლეს, არა?**

– მაინც, ასე მგონია.

**– მერე, ნატყვიარი სადმე ხომ უნდა ჰქონოდა?**

– რა იცით, რომ არ აქვს?! ტრეპანაცია ჰქონდა გაკეთებული. მართალია, ექსპერტი არ ვარ, მაგრამ ტრეპანაცია რატომ გაუკეთეს?

**– თუკი პრემიერი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა, როგორ ფიქრობთ, მკვლელობაში რამდენი ადამიანი მონაწილეობდა?**

– ვფიქრობ, დაცვის გაკეთებული არაა. დაცვამ, უბრალოდ, იცოდა.

**– ანუ, დაცვას არ მოუკლავს?**

– არ მგონია, შემსრულებული დაცვა ყოფილიყო...

იცით, ერთხელ რა მოხდა? – გაგარინის მოედანზე, შემთხვევით, ძაძამიას შევხვდი და რომ დამინახა, ყველაფერს გეფიცებით, სასტუმრო „სიმპათიასთან“, შესახვევში შევარდა“...

თათია გოჩაძე
598-43-50-34

# არის თუ არა უკრაინაში პანიკა – ინტერვიუ კიევში მყოფ ქართველ დეპუტატთან

## ნონა მამულაშვილი: „უნდა დავბრუნდეთ პარლამენტში!“

**მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ისევ უკრაინაა, რადგან რუსეთ-უკრაინას შორის ვითარება კვლავ დაძაბულია. უკრაინას დასავლეთისგან უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს, რაც მხოლოდ განცხადებებით კი არა, სამხედრო შეიარაღებასა და ფულად დახმარებაშიც გამოიხატება... საქართველოს მმართველმა ძალამ უკვე წარადგინა უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია, რომელსაც ოპოზიცია აკრიტიკებს. „ვერსია“ უკრაინაში მყოფ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრს, პარლამენტარ ნონა მამულაშვილს ესაუბრა.**

**– ქალბატონო ნონა, რა ვითარებაა უკრაინაში – შეინიშნება თუ არა მოსახლეობაში შიში და პანიკა?**

– როგორც იცით, უკრაინაში, მერვე წელია, საომარი მდგომარეობაა და შესაბამისად, დღეს ის უკრაინა აღარაა, რაც 2014 წელს იყო. მაშინ უკრაინა შოკში ჩავარდა, როცა რუსეთი თავს დაესხა და ასეთი მასშტაბური ომისთვის მზად არც ჯარი იყო და არც – მოსახლეობა, მაგრამ მას შემდეგ 8 წელი გავიდა, უკრაინა ამ ომში გაიწვრთნა, რუსული ტაქტიკისა და სტრატეგიული სვლების შესახებაც გაიგო, მთელი დასავლური სამყარო გვერდით დაუდგა. უკრაინას დღეს ულტრათანამედროვე შეიარაღება აქვს, ჰყავს ძალიან ბევრი სამხედრო მოსამსახურე, რომელთაც წვრთნები მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილებში გაიარეს და შესაბამისად, დღევანდელი უკრაინა ბევრად უფრო ძლიერი და უკეთ მომზადებულია, ვიდრე 2014 წელს იყო.

რაც შეეხება მოსახლეობას, 8 წელია, ასეთ მდგომარეობაში ცხოვრობს და შესაბამისად, პანიკა არ შეინიშნება. იმ ინფორმაციის ფონზე, ბელარუსის საზღვართანაცაა განთავსებული რუსული ჯარებიო, რა თქმა უნდა, ნერვიულობა არის, მაგრამ კიევის მოსახლეობა ცდილობს, ოჯახის წევრები ძალიან ფრთხილად და ორგანიზებულად გაიყვანოს, თუმცა ამას არ აქვს მასობრივი და პანიკური ხასიათი.

კიევი ძალიან წყნარად და მშვიდად ცხოვრობს და იმ შემთხვევისთვის ემზადება, თუ რუსეთი შეჭრას რეალურად გადაწყვეტს.

**– როგორც პარლამენტარი, როგორ ფიქრობთ, რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ რუსეთ-უკრაინის დაძაბულ ვითარებაში და როგორ აფასებთ მმართველი ძალის მიერ წარდგენილ უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას?**

– ეს რეზოლუცია არამცთუ სამარცხვინო, არამედ, მოღალატეობრივია იმიტომ, რომ უკრაინასა და საქართველოს დღეს ჰყავს ერთი მტერი და ეს არის პუტინის რუსეთი!

მაშინ, როცა უკრაინას მთელი ცივილიზებული სამყარო დაუდგა გვერდით, მხარდაჭერასა და სოლიდარობას უცხადებს, ვხედავთ, რომ საქართველოს ხელისუფლება სირაქლემის პოზიციაში დგება და რუსეთის ხსენებაც კი აშინებს. ეს საქართველოს ინტერესებისა და ჩვენი მომავლის ღალატია.

ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლების ეს პოზიცია არ გამოხატავს ქვეყნის პოზიციას. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ როგორც რიგითი მოქალაქე და დეპუტატი, დღეს ფიზიკურად აქ ვყოფილიყავი და ადგილზე გამომეხატა სოლიდარობა და მხარდაჭერა ჩვენი უკრაინელი მეგობრებისთვის.

**– საგარეო საქმეთა მინისტრი ოპოზიციისგან კრიტიკას არ იღებს და აცხადებს, რეზოლუციის ტექსტი იმისთვისაა შედგენილი, რომ თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ესკალაცია...**

– ძალიან მიამიტური და გულუბრყვილოა, თუ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ფიქრობს, რომ ამ რეზოლუციით შეაკავებს რუსეთს და თუ რუსეთს აქვს განზრახული, რომ საქართველოს მიმართაც აწარმოოს ანალოგიური პოლიტიკა, რასაც უკრაინას უპირებს, ამ რეზოლუციით ის კვლავ გააგრძელებს რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკას და ამით რაღაცას აგვარიდებს. რუსეთი ისედაც შემოჭრილია საქართველოში და ვხედავთ ჰიბრიდულ ომს ყოველ დღე. ვხედავთ, როგორ იტაცებს რუსეთი საქართველოს მოსახლეობას, იპყრობს საქართველოს ტერიტორიებს და ამაზე რეაგირებას არ ახდენს საქართველოს ხელისუფლება. ამიტომ სირცხვილია საგარეო საქმეთა სამინისტროს ასეთი პოზიცია.

**– ქალბატონო ნონა, ასევე, მნიშვნელოვანია ნაციონალური მოძრაობის მიერ საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვის საკითხი. არის თუ არა მიღებული გადაწყვეტილება საპარლამენტო ბოიკოტის შეწყვეტაზე? ამასთან, NDI-ს კვლევებმაც აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა პარლამენტის მუშაობას უარყოფითად აფასებს. ხომ არ დადგა დრო, შეწყვიტოთ ბოიკოტი და გამოიყენოთ საპარლამენტო ტრიბუნა საზოგადოების პრობლემებზე სასაუბროდ?**

– დაგეთანხმებით, რადგან თუ სრულიად ოპოზიციური სპექტრი არ ტოვებს პარლამენტს, ასეთი სახის ბოიკოტს აღარ მოაქვს შედეგი. ბოიკოტმა დასაწყისში თავის შედეგი მოიტანა, მაგრამ ამ ფორმით გაგრძელება, ვფიქრობ, მიზანს არ ემსახურება და შესაბამისად, ჩემი აზრია, რომ უნდა დავბრუნდეთ პარლამენტში და სრულფასოვნად მივიღოთ მონაწილეობა საპარლამენტო საქმიანობაში. გამოვიყენოთ ეს პლატფორმა საქართველოს პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე სასაუბროდ.

**– რა გეგმები აქვს თქვენს პარტიას, უნდა ველოდოთ მასობრივ საპროტესტო აქციებს?**

– ცოტა ხნის წინ, ნაციონალურ მოძრაობაში მოხდა განახლება და ახალი გუნდი მუშაობს სტრატეგიაზე. ეს ძალიან ძლიერი ინტელექტუალების გუნდია, რომელიც, ვფიქრობ, მალე წარუდგენს საზოგადოებას ჩვენი პარტიის სტრატეგიასა და ხედვას. ეს იქნება ის სტრატეგია, რომელსაც პარტია გაჰყვება შემდგომ პერიოდში და რომელსაც საქართველოს მოსახლეობა, ჩვენი ამომრჩეველი, დიდი ხანია, ელოდება.

**– პარტიის რებრენდინგი ახსენეთ და, საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლამ დაასრულა ნიკა მელიას აღებული კურსი, რა დროსაც თქვენ, სხვა კოლეგებთან ერთად, გახდით ენმ-ის ახალი სახე და მელია ცდილობდა, კოალიციური გაერთიანების შექმნას. ამ მოსაზრებას ეთანხმებით?**

– აბსოლუტურად არ ვეთანხმები, რადგან მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლა არაფერ შუაშია ამ განახლებასთან. ეს განახლება შარშან დაიწყო და ვფიქრობ, იყო რაღაც შეფერხებები იმიტომ, რომ ნიკა მელია დაიჭირეს, შემდეგ არჩევნები იყო და ა.შ. თუმცა ახლა ისე გაგრძელდა, როგორც იყო ჩაფიქრებული და ვფიქრობ, საკმაოდ ჯანსაღად მიდის ეს პროცესი. ამიტომ ერთის მეორესთან დაკავშირება მოვლენების მცდარი შეფასებაა.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

# გიორგი ფხაკაძე: „მე კარგი ექიმი არ ვარ!“

## „ომიკრონს“ შვილები გაუჩნდა... საქართველოში ბავშვების ვაქცინაციაზე საუბარი ნაადრევია“

**საქართველოში „ომიკრონი“ მძვინვარებს – 18 000-მდე დადასტურებული შემთხვევა უკვე ყოველდღიურობად იქცა და როგორც მედიკოსები ამბობენ, ეს მდგომარეობა კიდევ გაგრძელდება. რა ვითარებაა ამ მხრივ მსოფლიოში და რა უნდა ვიცოდეთ კორონავირუსის ახალ შტამზე? – „ვერსია“ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტ გიორგი ფხაკაძესთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ:**

– საქართველოში ის ხდება, რაც ჩემი ექსპერტული დასკვნებით ვთქვი, რომ იანვრის ბოლოს იქნებოდა კოვიდაფეთქება – ცუნამი. საქართველოში ეს სიმართლე არ მოსწონთ და ზღაპრების მოსმენა უნდათ. ევროპაში მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ვაქცინირებულია, „ომიკრონის“ ამ ტალღას იოლად ლახავენ. სამჯერ ვაქცინირებული ადამიანების 90%-ს ვირუსი არ ხვდება, ძირითადად, ინფიცირდებიან არავაქცინირებულები და ერთხელ ან ორჯერ ვაქცინირებულები. იმ ადამიანებს, რომელთაც გადაიტანეს კოვიდი, შეიძლება, ერთ კვირაში დაემართოთ „ომიკრონი“. ეს შტამი უფრო იოლად ლახავს ჩვენს იმუნურ ბარიერებს ვაქცინების ჩათვლით და ამიტომ ყველაზე ეფექტური ვაქცინების – „ფაიზერისა“ და „მოდერნას“ ოჯერადი დოზა მხოლოდ 30%-მდე გიცავთ. ამიტომაა საჭირო ბუსტერი. სამწუხაროდ, სხვა ვაქცინები არაეფექტურები აღმოჩნდა „ომიკრონის“ წინააღმდეგ.

**– დიდი გამოხმაურება მოჰყვა თქვენს განცხადებას, რომ თუ ვაქცინირებული ადამიანი გადაიტანს კოვიდს, შემდეგ კიდევ სამჯერ უნდა აიცრას. განგვიმარტეთ, ეს რატომ თქვით?**

– თუ ადამიანი დაინფიცირდა, ეს ნიშნავს, რომ ვაქცინამ უკვე მაქსიმუმი გააკეთა. არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა არაეფექტური ვაქცინითაა აცრილი. როცა ადამიანი ინფიცირდება, შეიძლება, შემდეგი რამდენიმე თვე იყოს დაცული. წინა გამოცდილება გვეუბნება, რომ კოვიდის ახალი ვარიანტების იმუნური დაცულობა, მეტ-ნაკლებად, 4-5 თვეა. შესაბამისად, ვიცით, რომ „ომიკრონის“ მეორე ტალღა იქნება ივნისში. ამიტომ ვინც ახლა დაინფიცირდება „ომიკრონით“, 30 დღის შემდეგ, ხელახლა უნდა აიცრას, თუმცა „ფაიზერის“ ვაქცინის ერთი და ორი დოზა ეფექტური არაა. ამიტომ ადამიანი უნდა იყოს დაცული ძლიერი ვაცქინით კოვიდინფიცირების გადატანის შემდეგ, 30 დღეში, მეორე დოზა უნდა გაიკეთოს 28 დღეში და ბუსტერ-დოზა – სამ თვეში. ასე „ომიკრონის“ მეორე ტალღას უფრო მომზადებული და დაცული შეხვდება.

**– ბატონო გიორგი, ხომ არ მუშაობს „ფაიზერი“, რომ ხანგრძლივმოქმედებიანი ვაქცინა შექმნას, რათა ბევრჯერ ვაქცინაცია აღარ დაგვჭირდეს?**

– 200 კომპანია მუშაობს კიდევ სხვადასხვა ტიპის ვაქცინებზე. „მოდერნამ“ დაიწყო ახალ ვაქცინაზე მუშაობა, რომელიც უფრო ფართო სპექტრზე იქნებოდა გათვლილი. „ფაიზერმა“ რამდენიმე დღის წინ გამოაცხადა, რომ შექმნა ახალი ვაქცინა და ახლა მიმდინარეობს კლინიკური კვლევები და ეს არის კონკრეტულად „ომიკრონზე“ გათვლილი ვაქცინა, რომელსაც ერთწლიანი მოქმედება ექნება. სავარაუდოდ, ახლო მომავალში, ბაზარზე გამოჩნდება ძალიან საინტერესო ვაქცინები, რომელსაც წელიწადში ერთხელ გავიკეთებთ, როგორც გრიპის ვაქცინას.

**– დიდი იმედით ელოდება ხალხი კოვიდსაწინააღნდეგო წამალსაც. ამ კუთხით არის დადებითი სიახლეები?**

– 200-მდე ფარმაკომპანია მუშაობს, რომ ნახონ გამოსავალი. „ფაიზერმა“ ახლა გამოუშვა ე.წ. სამკომპონენტიანი წამალი, „მერსკიმაც“ გამოუშვა და ზოგმა ქვეყანამ დაიწყო ამ წამლების შესყიდვა, მაგრამ როცა ანოტაცია დეტალურად წავიკითხე, ასეთი ტიპის წამლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ძალიან განვითარებულ ქვეყნებში, სადაც პირველადი ჯანდაცვის რგოლი კარგადაა გამართული. სამწუხაროდ, საქართველოსთვის არც „ფაიზერის“ და არც „მერსკის“ წამალი არაა მისაღები, რადგან ძალიან ბევრი უკუჩვენება აქვს და პრაქტიკულად, უნდა იყო ჯანმრთელი, ახალგაზრდა, ამ წამლის მიღება რომ შეძლო. ყველა ის წამალი, რომელიც დღემდე არსებობს, შესწავლილი იყო იქამდე, სანამ „ომიკრონი“ შემოვიდოდა, შესაბამისად, არ ვიცით, არსებული წამლები როგორ მუშაობენ ამ ახალი შტამის წინააღმდეგ. კლინიკური წამლები კი 10-ზე მეტია, რომლებსაც კლინიკებში იყენებენ, რათა შეუმსუბუქონ პაციენტებს მდგომარეობა. ყოველ 2-3 კვირაში, ახალი წამალი შემოდის, ამ მიმართულებით მიდის მუშაობა და კარგი პროგრესია.

**– „ომიკრონის“ შესახებ მედიკოსების აზრი იყოფა. თქვენსა და გიორგი ღოღობერიძის შორის დაპირისპირებაც ვნახეთ. ღოღობერიძე ამბობს, რომ „ომიკრონი“ საკმაოდ მსუბუქი შტამია, თქვენ კი აცხადებთ, რომ საქმე ასე მარტივად არაა. სინამდვილეში, რასთან გვაქვს საქმე?**

– „ომიკრონი“ კოვიდია და კოვიდი არ არის სეზონური გრიპი. ეს იგივეა, ცხენი და ტრაქტორი რომ ერთმანეთს შევადაროთ. შესაძლებელია, ორივეს ერთნაირი სიმპტომები ჰქონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერთი და იგივე დაავადებაა. ამაში ძალიან ბევრი ჩემი კოლეგა შეცდა, ზოგს გამოცდილება არ აქვს, ზოგს – ცოდნა, მაგრამ არა უშავს, ისწავლიან. კოვიდის ყველაზე დიდი ვერაგობა ისაა, რომ ტოვებს პოსტკოვიდურ გართულებებს. ამის გამო, მსოფლიოში დიაბეტის რაოდენობაა გაზრდილი. კოვიდი 80% შემთხვევაში, ასიმპტომურია. შეიძლება, ადამიანმა ვერც კი გაიგოს, რომ კოვიდი გადაიტანა. სიმპტომური ადამიანების უმრავლესობა კი, შეიძლება მსუბუქად წარიმართოს, მაგრამ თუ ასეთი მუსუბუქი გრიპია, რატომ გვყავს რეანიმაციაში ამდენი ადამიანი? ყოველ დღე რატომ იღუპება ამდენი ხალხი? – ანუ „ომიკრონი“ არ არის გრიპი! კორონავირუსი ცდილობს ადაპტირებას იმ გარემოში, სადაც არის. სამწუხაროდ, „ომიკრონს“ ბევრი მუტაცია აქვს – მას გაუჩნდა უკვე ორი „შვილი“. მეცნიერები აცხადებენ, რომ იქნება კიდევ ახალი ვარიანტები კორონავირუსისა ანუ ჩვენ მოგვიწევს კორონავირუსთან ერთად ცხოვრება, ოღონდ მნიშვნელოვანია, ამას როგორ გავაკეთებთ – სირაქლემის პოზაში ვიქნებით თუ შევხედავთ სიმართლეს თვალებში და ვიქნებით შეიარაღებულნი. დღეს, საუკეთესო შეიარაღება ორმეტრიანი დისტანციის დაცვა, ვენტილაცია, სამედიცინო პირბადე და საუკეთესო ვაქცინებია – „მოდერნა“ და „ფაიზერი“.

სამწუხაროდ, საქართველოში დიდი ანტივაქსერული მოძრაობაა, რომელიც მხარდაჭერილია ბევრი პოლიტიკური ინტერესის გამო და ამიტომ ჩვენი მოსახლეობა გაყოფილია. ექიმები კი პოპულისტები გახდნენ და იმას ლაპარაკობენ, რაც მოსახლეობას სიამოვნებს. არადა, ექიმმა უნდა ილაპარაკოს სიმართლე და ტყუილი არასდროს თქვას. ამ გაგებით, მე კარგი ექიმი არ ვარ და ღმერთმა დამიფაროს, ვიყო! მირჩევნია, ვთქვა სიმართლე, როგორი მწარეც უნდა იყოს და ეს სიმართლე ეხმარება საზოგადოებას, რომ უკეთ მოემზადოს და ვირუსს შეიარაღებული დახვდეს. ეს არის ჰიპოკრატეს ფიცი.

**– სხვათა შორის, ბევრს თქვენი სიმართლე აბრაზებს და ამბობს, გიორგი ფხაკაძე უარყოფითი ინფორმაციით გვავსებსო. ამაზე რას ფიქრობთ?**

– რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა. საინტერესო ისაა, რომ ბატონმა ზაზა წერეთელმა, რომელიც ევროპაში მუშაობს, თქვა, კოვიდის გამო, სპერმის ხარისხი ვარდეობაო. ამაზე რეაქცია საზოგადოებაში იყო ნული. მე რომ დავდე ეს სტატია, ინტერნეტი აფეთქდა. არადა, ეს ცდა მე კი არ ჩამიტარებია, შევაგროვე მსოფლიოში არსებული ინფორმაცია და ადამიანურ ენაზე გადმოვეცი. ამაზე მითხრეს, რატომ გვაშინებო? არადა, ჩატარებულია კვლევები, მათ შორის, პოსტკოვიდურ სინდრომზეც და როცა ამაზე ვსაუბრობ, გასაგებია, რომ მოსახლეობას, რომელსაც არ აქვს სამედიცინო განათლება, შესაძლოა, არ ესმოდეს და ვუხსნი, მაგრამ როცა ექიმებს არ ესმით...

სხვათა შორის, ბევრ კოლეგას ვაკრიტიკებ პროფესიონალურად, თუმცა პირადში არასდროს გადავდივარ.

**– „მწვანე პასპორტის“ წესის გამარტივებაზეც უნდა გკითხოთ – გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, მათზეც გაიცეს „მწვანე პასპორტები“, რომელთაც ვირუსი ტესტით არ დაუდასტურდებათ, თუმცა კლინიკური სურათის მიხედვით, ექიმი გადაწყვეტს, რომ კოვიდი აქვთ. ამაზე რას ფიქრობთ?**

– „მწვანე პასპორტი“ დოკუმენტია, რომელიც პანდემიის მართვაში, ერთ-ერთი იარაღია. თავიდანვე არასწორი იყო პანდემიის მართვის სისტემა საქართველოში. პირველად რომ ვაქცინაციის გეგმა დაიწერა, პირველმა გავაკრიტიკე, რადგან სადღეგრძელოების ფურცელი იყო. ახლა კიდევ, ვაქცინაციის ახალ გეგმას ქმნიან. საერთოდ, როცა რამეს აკეთებ, გჭირდება სტრატეგია. როცა სახლს აშენებ, ჯერ ფუნდამენტი გინდა, შემდეგ – კედლები და ბოლოს, სახურავი. ჩვენ ახლა სახლი არ გვაქვს და ვლაპარაკობთ სახურავის ფერზე. „სახურავის ფერი“ კი კოვიდპასპორტია. ამიტომ ვფიქრობ, ახალი ბორბლის გამოგონება არ გამოგვდის, შეერთებული ვართ ევროკავშირის ე.წ. კოვიდბარათს და სჯობს, ამას მივხედოთ. გადავიდეთ ევროპულ ბარათზე, რადგან ეს საბუთი ჩავარდა ქვეყანაში და არავინ ხმარობს.

**– ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ემზადებიან, რომ გაზაფხულიდან, „ფაიზერით“ 9 წლის ასაკიდან დაიწყოს ვაქცინაცია. რას იტყვით ამაზე?**

– რომ გადავხედოთ ბოლო მონაცემებს დანიაში, ინფექცია, ძირითადად, 0-2 წლის ასაკშია გავრცელებული. პრაქტიკულად, ეს ვირუსი ბავშვებსაც აინფიცირებს. ასევე, პოსტკოვიდური გართულებები ემართება ბავშვსაც და მოზარდსაც. მხოლოდ დიაბეტზე რომ ვილაპარაკოთ, საშინელებაა. ევროპაში ვაქცინაცია კეთდება 5 წლიდან, მშობლის თანხმობით. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, საქართველოს პირობებში, ჯერ ჩვენი ბებიები და ბაბუები ავცრათ. ჯერ ის ადამიანები უნდა აიცრან, რომლებიც, შესაძლოა, ყველაზე მეტად დაზიანდნენ ინფიცირებისგან. ასაკობრივად როცა ყველა აცრილია 18 წლის ზემოთ, შემდეგ ჩამოდიხარ ქვემოთ და საქართველოში ბებია-ბაბუა არაა აცრილი და ბავშვის აცრას იწყებენ. უკულმა მოქმედებენ და ასე არ შეიძლება. სამწუხაროდ, საქართველოში ბავშვების ვაქცინაციაზე საუბარი ნაადრევია. ჩვენ უნდა ვიყოთ, პირველ რიგში, ქრონიკული დაავადებების პაციენტებზე და ჩვენს პენსიონერებზე ორიენტირებული. ეს ორი ჯგუფი უნდა იყოს პრიორიტეტი.

# აუდიტმა ოცამდე სკოლის სარემონტო სამუშაოებში დიდი დარღვევები აღმოაჩინა

მაკა რუხაძე

## სახელმწიფო მაკონტროლებლები შესყიდვების მართვით დაინტერესდნენ

2017 სასწავლო წელი, საქართველოს სკოლებში 15 სექტემბერს დაიწყო, მაგრამ დაუსრულებელი სარემონტო სამუშაოების გამო, ოცამდე სკოლაში სწავლა ერთი თვით გადაიდო. ამ თემაზე, იმ პერიოდში, „ვერსიაში“, ჟურნალისტური მოკვლევა გამოქვეყნდა. გამოძიების ფარგლებში, დავადგინეთ, რომ რეალური მიზეზი, რის გამოც სამშენებლო კომპანიებმა სკოლების რემონტი დროულად ვერ დაასრულეს, დაგვიანებით გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვები – ტენდერები იყო. გამოძიების ფარგლებში, „ვერსია“ დაუკავშირდა, როგორც განათლების სამინისტროს, ასევე, იმ სკოლების ადმინისტრაციებს, რომლებშიც სასწავლო პროცესი გადაიდო და ტენდერში გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიებსაც. სწორედ ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით, გავარკვიეთ, რომ სკოლებში, სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული ტენდერები საკმაოდ გვიან – ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში გამოცხადდა, აგვისტოს შუა რიცხვებში (ბიუროკრატიული წესების სრული დაცვით) გამარჯვებული კომპანია გამოვლინდა, რომელსაც 15 სექტემბრამდე სკოლის გარემონტება უნდა მოესწრო, რაც აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო. თუმცა, ეს ამ პრობლემის მხოლოდ ნაწილი ანუ მედლის ერთი მხარეა, მეორე მხრივ, საკითხი იმდენად აქტუალური გახლავთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც დაინტერესდა და მორიგი დასკვნაც გამოაქვეყნა.

ანგარიში, რომელსაც ახლა გთავაზობთ, სახელმწიფო შესყიდვების მართვის 2017-2019 წლების სისტემური საკითხების შესაბამისობის აუდიტია. ვინაიდან სახელმწიფო აუდიტორები სახელმწიფო შესყიდვების მართვით დაინტერესდნენ, ცხადია, ანგარიშში 2017 წელს, სკოლების სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული ტენდერებიც მოხვდა, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით, ჯერ აუდიტორების მიერ გამოვლენილი სხვა დარღვევები განვიხილოთ.

### ხარვეზები შესყიდვების საჭიროებებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები, რიგ შემთხვევებში, საჭიროებებს არ განსაზღვრავენ რაციონალური გათვლებისა და ანალიზის საფუძველზე, რაც იწვევს არაოპტიმალური რაოდენობის სასაქონლო ნაშთების შექმნას. მეტიც, აუდიტორების მტკიცებით, შესყიდვის საჭიროების განსაზღვრისას არ არის გათვალისწინებული საბიუჯეტო წლის რეალური საჭიროებები და წლის დასაწყისისთვის ორგანიზაციაში არსებული მარაგები, რის გამოც, საბიუჯეტო სახსრების განივთება ხორციელდება სასაქონლო– მატერიალური მარაგების არაოპტიმალურ, მაღალ ნაშთებში და წარმოიშვება საბიუჯეტო სახსრების არაპრიორიტეტულად გამოყენების რისკები:

**„სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, 2017 წელს, დაგეგმა 23 დასახელების 2 910 000 ლარის ღირებულების მედიკამენტების შესყიდვა, რომელთაგან შეისყიდა 2 777 063 ლარის მედიკამენტები. წლის განმავლობაში, ბენეფიციარებზე გაიცა ფარმაცევტული პროდუქტის მხოლოდ 20% და ნაშთად დარჩა 80%, ღირებულებით – 2 235 354 ლარი. არსებული მარაგების მიუხედავად, მომდევნო, 2018 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 198%-იანი ზრდით და განისაზღვრა 10 000 000 ლარით – ხელშეკრულებები გაფორმდა 7 957 202 ლარზე. აგვისტოში, პროგრამის მოსარგებლეებს დაემატნენ ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფები და მედიკამენტების რაოდენობა გაიზარდა 12 სახეობით, 36 სახეობამდე. მიუხედავად ამისა, ბენეფიციართა მომსახურებას სააგენტო ახორციელებდა წინა წლის მარაგებით, ხოლო მიმდინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მედიკამენტების 96%, ღირებულებით – 7 601 989 ლარი, შეისყიდა წლის ბოლოს. ხელშეკრულებების ფარგლებში, მიმწოდებლებს აუნაზღაურდათ 7 560 500 ლარი, საიდანაც 2 598 844 ლარი გადარიცხულია ავანსად“,** – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აუდიტორების მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის ბოლოს, სააგენტოს ნაშთად ერიცხებოდა 5 587 414 ლარის ღირებულების ფარმაცევტული პროდუქტი, ხოლო 2 598 844 ლარის ღირებულების მედიკამენტის მისაღებად გადარიცხული ჰქონდა ავანსი, 2019 წლისთვის, სახელმწიფო პროგრამით განისაზღვრა 19 000 000 ლარის ღირებულების ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2017 წლის 15 ივნისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 300 ერთეული უბნის ინსპექტორის ქამარი შეისყიდა, სახელშეკრულებო ღირებულებით – 39 379 ლარი.

**„ამ შემთხვევაში, არ არსებობდა შესყიდვის საჭიროება, ვინაიდან 2017 წლის დასაწყისში, სამინისტროს ნაშთად ერიცხებოდა 5 621 ერთეული ქამარი, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წლიურ მოთხოვნას; 2017 წელს გაცემული ქამრების რაოდენობამ შეადგინა 4 713 ერთეული, წლის ბოლოს კი, სამინისტროს ნაშთად დარჩა 5 908 ერთეული უბნის ინსპექტორის ქამარი“.**

### დარღვევები ბაზრის კვლევაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები ბაზრის კვლევის პროცედურებს არასრულყოფილად ატარებდნენ. შედეგად, შესყიდვის ღირებულება გაიზარდა ან შემუშავებული სატენდერო პირობებით, არაკონკურენტული გარემო შეიქმნა.

**„2017-2019 წლებში, ვაჭრობის გარეშე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება 1 252 800 000 ლარია ანუ მთლიანობაში გაფორმებული ხელშეკრულებების 13%. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მატერიალიზირებული იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ხელოვნურად გაზრდის რისკი, ყველა შემთხვევაში, უკონკურენტო ტენდერი არაეკონომიურ ხარჯვას გამოიწვევს. ამასთან, არასწორად განსაზღვრულ სავარაუდო ღირებულებას პირდაპირი გავლენა აქვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის პროცესზე. იმ შემთხვევებში, როდესაც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ფასის კლება 20%-ზე მეტია, პრეტენდენტი ვალდებულია, რეალური საბაზრო ფასების შეთავაზების შემთხვევებშიც კი დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა“.**

ბაზარზე არსებული ინფორმაციის ასახვა სატენდერო დოკუმენტაციაში აუცილებელი და მნიშვნელოვანი ფაქტორია. შესაბამისად, ბაზარზე არსებული ინფორმაციის წყარო იძლევა საშუალებას, შემსყიდველმა მიიღოს რელევანტური ინფორმაცია შესყიდვის საგნის მიწოდების ვადების, ეკონომიკურ ოპერატორთა

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# აუდიტმა ოცამდე სკოლის სარემონტო სამუშაოებში დიდი დარღვევები აღმოაჩინა

*მე-6 გვერდიდან*

ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობების, საქონლის ტექნიკური მახასიათებლების, ალტერნატიული წინადადებების და სხვა საკითხების შესახებ.

**„ბაზრის კვლევის არასწორად და არასრულყოფილად განხორციელების შედეგად, რიგ შემთხვევებში ყალიბდება საბაზრო პირობებთან შედარებით შესყიდვის საგნის შეუსაბამოდ მაღალი სავარაუდო ღირებულება; კონკურენციის შემზღუდველი სატენდერო პირობები. შესყიდვის საგნის და პოტენციურ მიმწოდებელთა მიმართ განისაზღვრება ისეთი მოთხოვნები, რომლებიც არ პასუხობს ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. ეს ყოველივე, ერთობლიობაში, კონკურენციის შეზღუდვის საფუძველზე, იწვევს არასაბაზრო, მაღალი საკონტრაქტო ფასის ჩამოყალიბებას და საჯარო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას“.**

## დარღვევები შესყიდვების მოთხოვნებში

სახელმწიფო შესყიდვების დროს, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებასა და პრეტენდენტების მიმართ თანასწორ მოპყრობას. მოთხოვნები მიმწოდებლების მიმართ უნდა განისაზღვროს პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ყოველი ცალკეული შესყიდვის შემთხვევაში – ინდივიდუალურად, შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის, მოცულობისა და მიწოდების ვადის გათვალისწინებით. ახლა ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა სკოლების სარემონტო სამუშაოებისთვის გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში:

**„სსიპ „სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ“, საქართველოს მასშტაბით, მცირეკონტინგენტიანი (20-25 მოსწავლე) სკოლების პროექტირება-სამშენებლო სამუშაოების ბაზრის კვლევის მიზნით, 2017 წელს, განცხადება განათავსა შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე. განცხადების თანახმად, სხვადასხვა რეგიონში, 13 სკოლის სამშენებლო სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 60 კალენდარულ დღეში, ხოლო დაინტერესებულ პირებს უნდა წარედგინათ საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა და ვიზუალური ესკიზი. განცხადებას გამოეხმაურა მხოლოდ ერთი კომპანია – შპს „ელექტრო მონტაჟ სერვისი“, სავარაუდო ღირებულებით – 6 181 899 ლარი. სსიპ „სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ“, ამ ინფორმაციის საფუძველზე, 2017 წლის 31 მაისს, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად, რომლის ღირებულება ჯამში – 6 050 000 ლარი იყო. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა – ამხანაგობა „მაგისტრალმა“ და შპს „ელ ჯორჯიამ. მათგან, „მაგისტრალს“ მიენიჭა დისკვალიფიკაცია, ხოლო შპს „ელ ჯორჯიასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით – 5 494 939 ლარი“.**

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ შესყიდვის მთლიანი პროცესი შემსყიდველმა წარმართა იმგვარად, რომ შემუშავებული ტექნიკური პირობები დაეკმაყოფილებინა მხოლოდ ერთ მიმწოდებელს, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდებოდა არასაბაზრო ღირებულებით. კერძოდ, პრეტენდენტებს მოეთხოვებოდათ გამოცდილება, რომ ბოლო სამი წლის (2014, 2015, 2016 წლებში) განმავლობაში, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, შესრულებული უნდა ჰქონოდათ არანაკლებ 10 მილიონი ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**„უნდა აღინიშნოს, რომ ერთი სკოლის სამშენებლო სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 465 384 ლარს. შესაბამისად, მოთხოვნილი გამოცდილება ერთი ხელშეკრულების შესახებ, 21-ჯერ აჭარბებს ერთი ტიპური სკოლის სამშენებლო სამუშაოების ღირებულებას. აქედან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც ცამეტივე ლოკაციაზე მშენებლობის საფუძველს წარმოადგენდა ტიპური პროექტი, რომლის მიხედვითაც შესასრულებელი იყო სტანდარტული სამუშაოები: გრუნტის დამუშავება, შენობის ლითონის კონსტრუქციის მოწყობა, კედლებისა და სახურავის მოწყობა კომპაქტ-პანელით, კედლების მოპირკეთება, ალუმინის კარ-ფანჯრის მოწყობა და სხვა. დაუსაბუთებელია, რატომ უნდა ჰქონოდა პრეტენდენტს მხოლოდ ერთი ხელშეკრულების და ისიც, 10 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაოებზე გამოცდილება“,** – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ტენდერი გამოცხადდა შპს „ელექტრო მონტაჟ სერვისის“ მიერ მიწოდებული საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით, რომელზეც მცირედი კლებით, შპს „ელ ჯორჯიამ“ გაიმარჯვა. აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ეს კომპანიები ურთიერთდაკავშირებული მხარეები იყვნენ და, ფაქტობრივად, მშენებლობის ღირებულება განისაზღვრა მხოლოდ ერთი მხარის მიერ:

**„შესყიდვის არც ერთ ეტაპზე, არ მომზადებულა დეტალური, რესურსული მეთოდით შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, შესაბამისი საბაზრო ფასების გათვალისწინებით. გამოყენებული საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა არასრულყოფილია, რომელიც დეფექტური აქტის მსგავსი დოკუმენტი გახლავთ. მაგალითად, სამუშაოები წარმოდგენილია შემდეგი სახით: ელექტროგაყვანილობა – 22 000 ლარი, იატაკის მოწყობა – 18 400 ლარი, გათბობის სისტემის მოწყობა – 21 350 ლარი და სხვა“.**

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის განხორციელების ვალდებულება გადაცემული იყო შემსრულებელ კომპანიაზე. სახელშეკრულებო პირობებით აუცილებელი იყო, შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მოცულობისა და ფასების ექსპერტიზა, თუმცა მიმწოდებელმა კომოანიამ მხოლოდ მოცულობების ექსპერტიზის დასკვნა წარადგინა, სადაც ცამეტივე სკოლაზე შესრულებული სამუშაოები ექსპერტიზამ დაადასტურა 100%-ით.

**„მიუხედავად იმისა, რომ შემსყიდველი ითხოვდა 10 000 000 ლარის გამოცდილებას, 500 000 ლარის თავისუფალ ფინანსურ რესურსებს ანგარიშზე, ან საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფას სამ ტრანშად, ავანსის სახით, სრული სახელშეკრულებო ღირებულება – 5 883 607 ლარი გადაუხადა. მსგავსი პრინციპით, შემზღუდველი პირობებით, გაუმართავი ხარჯთაღრიცხვით, ხუთი თვის შემდეგ, სააგენტომ დამატებით კიდევ გამოაცხადა ტენდერი ექვსი სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, სადაც უკონკურენტო პირობებში, ვაჭრობის გარეშე, გაიმარჯვა შპს „ელ ჯორჯიამ“, სახელშეკრულებო ღირებულებით – 2 661 596 ლარი“.**

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სატენდერო დოკუმენტაციით, პრეტენდენტების გამოცდილებისა და ცოდნის მიმართ ჩამოყალიბებულია ისეთი მოთხოვნები, რომლებიც შესყიდვის საგნის მიწოდების კუთხით, პრეტენდენტის კვალიფიკაციის დადასტურებას არ უკავშირდება.

**„სატენდერო კომისიების მიერ, რიგ შემთხვევებში, პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია ხორციელდება დაუსაბუთებლად, პრეტენდენტთა მიმართ გამოიყენება არაერთგვაროვანი და დისკრიმინაციული მიდგომა. შედეგად, შემსყიდველი ორგანიზაციები კარგავენ შესაძლებლობას, შესყიდვა, გამარჯვებულ კომპანიასთან შედარებით, ნაკლებ ფასად განახორციელონ“.**

# რატომ უჭირთ სკოლაში დაბრუნებულ უფროსკლასელებს კომუნიკაცია

ემილი ფეიქრიშვილი

**საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, სასწავლო პროცესი 17 იანვარს განახლდა. კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, სამინისტრომ დისტანციურად სწავლის შესაძლებლობა ახალ სემესტრშიც დაუშვა. „პანდემიის გამოვლენის შემთხვევაში, წერტილოვანი შეზღუდვები კვლავ გაგრძელდება“, – განაცხადეს საქართველოს განათლების სამინისტროში. რა მდგომარეობაა სკოლებში რეგულაციების დაცვის კუთხით, გრძნობენ თუ არა პედაგოგები და მოსწავლეები თავს დაცულად იმ ფონზე, როცა დღე-ღამეში, კორონავირუსის 15 ათასზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება? – „ვერსია“ პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელ დავით ფერაძეს ესაუბრა.**

**დავით ფერაძე: „ინფიცირების რიცხვი გაზრდილია, მაგრამ ბავშვების მუდმივად სახლში გამოკეტვა შეუძლებელია!“**

**– ბატონო დავით, რა მდგომარეობაა სკოლებში მას შემდეგ, რაც საკლასო სივრცეში, სწავლა განახლდა?**

– სამედიცინო თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად, ყველა სკოლა მზად იყო სწავლის დასაწყებად, განსაკუთრებით, ალბათ, კერძო სკოლები, თუმცა მხოლოდ ეს არაა საკმარისი მოსწავლეების უსაფრთხოებისთვის. მეორე მხრივ, იმის მიუხედავად, რომ ინფიცირების რიცხვი გაზრდილია, შეუძლებელია, ბავშვების მუდმივად სახლში გამოკეტვა!

**– ანუ მასწავლებლები და მოსწავლეები სასკოლო გარემოში თავს დაცულად გრძნობენ?**

– რა თქმა უნდა, სასკოლო გარემო სრულიად უსაფრთხო არაა, რადგან კონტაქტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, სწორედ სასწავლო გარემოშია. რა ღონისძიებებიც უნდა გავატაროთ, შეუძლებელია, ამდენი ბავშვის გაკონტროლება, განსაკუთრებით, დასვენებების პერიოდში. ვინაიდან გავრცელება კონტაქტით ხდება, ყველაზე ბევრი მაჩვენებელი, სწორედ სკოლაში, დაბალ კლასებში ფიქსირდება.

რაც შეეხება მასწავლებლებს, ეს მათი პრობლემაცაა. იმის გამო, რომ აცრა არ ნიშნავს კოვიდისგან სრულ დაცვას, საქართველოს მასშტაბით, მასწავლებელთა 70-75% აცრილია, მათ შორის, ბევრი ე.წ. ბუსტერ დოზითაც, მაგრამ გადადების საშიშროება მაინც არსებობს. აქედან გამომდინარე, საფრთხის მაჩვენებელი იზრდება.

**– ხომ არ გაუჭირდათ მოსწავლეებს საკლასო სივრცეში დაბრუნება?**

– რა თქმა უნდა, გაუცხოების ხარისხმა ბავშვებში ძალიან მოიმატა, განსაკუთრებით, უფროსკლასელებში შეინიშნება კომუნიკაციის პრობლემები. დაბალი კლასის მოსწავლეებს ახალი ურთიერთობების აღდგენა შედარებით მარტივად შეუძლიათ. ადამიანები მიეჩვივნენ დისტანციურ ურთიერთობებს ტექნიკური გზებით და სოციალური ქსელებით. კორონავირუსის დაწყებამდე, აღნიშნული პრობლემა არსებობდა, მაგრამ პანდემიის პროცესმა ამის მაჩვენებელი უფრო მეტად გაზარდა.

# ვინ არის 21 წლის ქართველი, რომელმაც ამერიკული უნივერსიტეტის 100%-იანი გრანტი მოიპოვა

**გიორგი კოპალიანი: „თუ რამე მთელი გულით გსურთ და ამაზე ძალიან ბევრს მუშაობთ, აუცილებლად აქცევთ რეალობად!“**

**გიორგი კოპალიანი აშშ-ის ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში, უკვე ორგზის სტიპენდიანტია. 21 წლის ასაკში, ამერიკული უნივერსიტეტის ბაკალავრის სტუდენტი სრული, 100%-იანი დაფინანსებით გახდა. „ეს არის ბიჭი, რომელმაც ცხოვრებაში ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს თავისით მიაღწია“, – ასე ახასიათებენ მას მეგობრები. გიორგიმ დიდი გზა გაიარა საქართველოდან აშშ-მდე და დღეს, თავის ახდენილ ოცნებას პირისპირ უყურებს.**

როგორია მისი ცხოვრება ამერიკაში, რა გზა გაიარა და როგორ შეძლო აშშ-ის უნივერსიტეტში, ორჯერ სრული დაფინანსების მოპოვება? – „ვერსიას“ გიორგი კოპალიანი ესაუბრა:

**„7 წლის ასაკში, ქალაქ ფოთის მე-8 საჯარო სკოლა დავამთავრე, რომლის საშუალებითაც შემდგომში, საკუთარი თავის რეალიზება შევძელი. საშუალო სკოლამ საკუთარი თავის რწმენა მომცა. აშშ ჩემთვის არ იყო პირველი ქვეყანა, სადაც ვიმოგზაურე. ამერიკაში გამგზავრებამდე, ვცხოვრობდი და ვმუშაობდი გერმანიაში, სადაც გავატარე 2 წელი. გერმანიაში წასვლა გადავწყიტე მას შემდეგ, რაც სკოლა დავასრულე. 20 წლის ასაკში კი აშშ-ში ჩავედი. ამჟამად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიმყოფები და ვსწავლობ მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან - „მარკონის მაიამის საერთაშორისო უნივერსიტეტში“.**

**ბევრი მეცადინეობისა და თავდაუზოგავი შრომის წყალობით, 100%-იანი დაფინანსება მოვიპოვე, აქედან 50% – უნივერისტეტისგან არის, ხოლო 50%-ს – კერძო კომპანია იხდის, რომელიც წარმატებულ სტუდენტებს აფინანსებს და მე შევძელი, ერთ-ერთი მათგანი ვყოფილიყავი.**

**ქართველ ახალგაზრდებს, სკოლის მოსწავლეებს ვეტყვი, რომ თუ მათ რამე მთელი გულით სურთ და ამაზე ძალიან ბევრს მუშაობენ, აუცილებლად აქცევენ რეალობად! მერწმუნეთ, ფინანსები მეასეხარისხოვანია მაშინ, როცა მიზანი გამოძრავებს. შეერთებულ შტატებში ჩამოსავლელად, მხოლოდ 60 ევრო გადავიხადე და ისიც მხოლოდ საკონსულოს მომსუხრების ანაზღაურება გახლდათ. ამიტომ, სულ წინ იარეთ და არასდროს გაჩერდეთ! არ გაჩერდეთ არც მაშინ, თუ თქვენს გეგმებსა და ოცნებებზე გაიცინებენ“.**

*ემილი ფეიქრიშვილი*

# სამართალი

№4 2 თებერვალი 2022 წ


# უნდა ჩამოერთვათ თუ არა უმძიმეს დანაშაულზე მსჯავრდებულებს შეწყალების თხოვნის უფლება


ბათო ჯაფარიძე

## რატომ არის გაუპატიურებაზე მსუბუქი სასჯელი საქართველოში

**შელამაზების გარეშე ვთქვათ: საქართველოში დღეს არსებული კრიმინოგენური ვითარება უკეთესის სურვილს ტოვებს. თვე არ გავა, უმძიმესი დანაშაულის შესახებ არ შევიტყოთ და მკვლელობებსაც მივეჩვიეთ. ზოგადად, პანდემიის გამო, თითქოს, ადამიანის გარდაცვალებამ ფასი დაკარგა, აგერ, 15 ათასამდე გარდაცვლილი გვყავს და უკვე ორ წელზე მეტია, უბრალოდ, სტატისტიკის სახით ვკითხულობთ, რომ გარდაიცვალა რამდენიმე ათეული პაციენტი. არ არსებობს საქართველოში ოჯახი, რომელსაც კორონავირუსი არ შეეხო და ოჯახის წევრი თუ არა, ნათესავი, მეგობარი, მეზობელი არ შეიწირა. ძალიან პატარაა საქართველო იმისთვის, რომ ორ წელიწადში 15 ათასი ადამიანის გარდაცვალება შეუმჩნევლად გადაიტანოს, მაგრამ... მივეჩვიეთ და ვაი, რომ კოვიდის გარდა, ადამიანებიც არ ინდობენ ერთმანეთს და მარტივად კლავენ.**

სამწუხაროდ, კვლავ ვერაფერს ვუხერხებთ დაავადებას, რომელსაც ნარკომანია ჰქვია. ნარკოდამოკიდებულებისადმი კანონის შემსუბუქებამ სასურველი შედეგი აშკარად ვერ მოიტანა. უფრო პირიქით – ნარკომოვაჭრეები მომრავლდნეენ და იმის მიუხედავად, რომ ყოველთვიურად, შს სამინისტრო რამდენიმე ათეულ ნარკოდილერს აკავებს, შედეგი მაინც არ არის – ისინი ისე მრავლდებიან, როგორც ნაწვიმარ ტყეში სოკოები და ვაღიაროთ, რომ ძალიან ბევრი დაკავებული 2-3 წელიწადში ციხეს ტოვებს ანუ ნარკომოვაჭრეთა აბსოლუტური უმრავლესობა სასჯელს ბოლომდე არ იხდის და სწორედ ამის იმედად რისკავენ... რისკავენ საკუთარი თავისუფლებით, რისკავენ სხვების სიცოცხლის ხარჯზე და დარწმუნებულნი არიან, რომ ნარკოტიკებით მიღებული შემოსავალი მათ შესაძლებლობას მისცემს, ციხიდან თავი მალე დაიხსნან.

მარტივ მაგალითს გეტყვით: 2010 წელს, ერთ-ერთი ნარკომოვაჭერე დააკავეს და 24 წელი მისცეს. ციხეში ყვებოდა, ნარკოტიკი ისეთ შემოსავალს ტოვებს, ვერ ჩერდები, ვერ გრძნობ, რომ საფრთხე ახლოსააო. კონკრეტულად ეს პიროვნება საფრანგეთში ყიდულობდა „სუბოტექსს“, ერთი აბი – 1 ევრო უჯდებოდა, საქართველოში კი 700 ლარად ყიდდა. ახლა, თავად დათვალეთ, 1 000 აბში – 1 000 ევროს იხდიდა საფრანგეთში, აქ კი 1 000 აბში – 700 000 ლარს იღებდა. ჰოდა, 24-წელმისჯილი პირი ციხიდან სამ წელიწადში გავიდა, ორ წელში კვლავ დააკავეს, ისევ ნარკოვაჭრობისთვის და ამჯერად, 20 წელი მისცეს, თუმცა მისი ოჯახის წევრები ისევ დარწმუნებულები არიან, რომ ამ ვადის მოხდა ბოლომდე არ მოუწევს.

ნარკოდანაშაულის გარდა, მკვლელობების რიცხვიც ძალიან გაზრდილია. აღარ აქვს მნიშვნელობა ასაკსა და სქესს, კლავენ ყველას და არც მიზეზია მნიშვნელოვანი – უბრალო შელაპარაკებაც საკმარისი გახლავთ ხოლმე. არის თუ არა ეს იმის ბრალი, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომია? არის თუ არა ეს იმის ბრალი, რომ თუნდაც სერიული მკვლელების ისტორიები უკვე ფილმებად გამოდის და ისინი ერთგვარ ლეგენდებადაც კი ითვლებიან? საბჭოთა კავშირს იმაშიც ადანაშაულებენ, რომ მოქალაქეებს ინფორმაციაზე წვდომა თითქმის არ ჰქონდათ, საინფორმაციო გამოშვებებში კი მხოლოდ პოზიტივზე საუბრობდნენ და ნეგატიურ ამბებს ძალიან იშვიათად აშუქებდნენ. ახლა კი, საინფორმაციო ნეგატიური ინფორმაციით თუ არ დაიწყო, პრაქტიკულად, არავინ უყურებს. ამიტომ არის, რომ მივეჩვიეთ ნეგატივს და არ გვიკვირს არც მკვლელობა, არც გაუპატიურება, არც ნარკოტიკების გაყიდვა... საერთოდ არაფერი გვიკვირს და ყველაფერი ძალიან მსუბუქად გადაგვაქვს. უმძიმეს დანაშაულებზე ორი-სამი დღის განმავლობაში მიდის აღშფოთება-შეშფოთება სოციალურ ქსელში, შემდეგ კი ყველაფერი, საუკეთესო შემთხვევაში, გვავიწყდება, უარეს შემთხვევაში კი – ქილიკში გადადის.

რამდენიმე დღის წინ, კახეთში მომხდარი მკვლელობა განვიხილოთ. 70 წლამდე ქალი საკუთარ სახლში მოკლეს, დაკავებული მკვლელი კი წარსულში გაუპატიურებისთვის არის ნასამართლევი და ახლაც ეჭვი გაუპატიურების მცდელობაზეა. ქალმა ყვირილი დაიწყო, ეზოში მყოფ ქმარს ეძახდა, მაგრამ ადგილზე მისულ მეუღლეს უკვე გარდაცვლილი დახვდა, მკვლელი კი გაქცეული. ქართულ კანონმდებლობას ერთი დიდი ნაკლი აქვს – კანონები მეტად რბილია. გაუპატიურებისთვის სასჯელი, მაქსიმუმ, 7 წელია და ეს იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი სრულწლოვანია. არასრულწლოვნის შემთხვევაში, სასჯელი შედარებით მძიმეა, მაგრამ... მხოლოდ შედარებით.

ის 43 წლის ეჭვმიტანილი, თავის დროზე ანუ პირველი დანაშაულის ჩადენის დროს, 15-20 წლით რომ გაეშვათ ციხეში, ახლა ის ქალიც ცოცხალი იქნებოდა და ჩვენც უფრო მეტად დაცულები ვიქნებოდით. ან, რატომ არ განიხილება ჩვენთან გაუპატიურებისთვის მსჯავრდებულთა ქიმიური კასტრაცია?! რატომ არ არის უმძიმეს დანაშაულებზე, ულაპარაკოდ სამუდამო პატიმრობა, შეწყალების თხოვნის უფლების გარეშე? რატომ არის, რომ ნარკოტიკების გამყიდველები მაინც რისკავენ და ზუსტად იციან, რომ ათიდან რვა შემთხვევაში, არა თუ სამუდამოს არ მისცემენ, არამედ, მისჯილი სასჯელის მესამედსაც კი არ მოიხდიან?! რატომ არ ვქმნით პრეცედენტს, რატომ არ გამოგვაქვს კანონი იგივე ნარკოტიკების გამსაღებლებისთვის, ულაპარაკოდ სამუდამო პატიმრობა? აბა, მერე ნახეთ, კიდევ ბევრს მოუნდება ნარკოტიკის გაყიდვა?! რატომ არის, რომ მკვლელობისთვის, უდანაშაულო ადამიანის მკვლელობისთვის, შესაძლოა, ვიღაცას 15 წელი აკმარონ და ისიც არ მოახდევინონ?

ზედიზედ, ერთს, ორს, სამს და ათს რომ გაასამართლებ მკაცრად, სამუდამოს რომ მისცემ და განაჩენში ჩაურთავ პუნქტს, რომლის მიხედვითაც მას შეწყალების თხოვნის შესაძლებლობაც არ ექნება, დანარჩენები დაფიქრდებიან. ახლა ვიღაც იტყვის, ეს მათი, თუნდაც დამნაშავეების უფლების დარღვევაა, შანსს არ ვუტოვებთო, მაგრამ მკვლელმა მსხვერპლს დაუტოვა შანსი? ნარკოტიკების გამსაღებელს რატომ უნდა ჰქონდეს იგივეს გაკეთების შესაძლებლობა, თუნდაც, 10 და 20 წლის შემდეგ? მათთვის მეორე შანსის მიცემა იცით, რას ჰგავს? პირველ ტყვიას რომ აგაცილებენ და მეორეს მიაწვდით, კიდევ ერთხელ სცადეო.

კანონია გასამკაცრებელი ნასვამ მძღოლებზეც. ნასვამმა მძღოლმა იცის, რომ გისოსებს მიღმა მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება, თუ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ვინმეს მოკლავს. აი, მან რომ იცოდეს, მოკვლის გარეშეც ციხე ელოდება, თუნდაც ერთი წლით, ოღონდ რეალური სასჯელი, მერწმუნეთ, ნასვამი მძღოლების რიცხვი, მინიმუმ, 90%-ით მოიკლებს. სასჯელთან ერთად, მართვის მოწმობის სამუდამო ჩამორთმევაც თუ ჩაიდება კანონში, იდეალურ გარემოს მივიღებთ.

ისე არ გამიგოთ, თითქოს ადამიანების ციხეში გაშვების მომხრე ვიყო, მაგრამ დანაშაულზე ადეკვატური სასჯელი უნდა არსებობდეს და პოტენციურმა დამნაშავეებმა უნდა იცოდნენ, რომ უმძიმეს ქმედებას უმძიმესი სასჯელი მოჰყვება.

ბათო ჯაფარიძე

**საქმეები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს იმალებოდა, დღის სინათლეზე ნელ-ნელა გამოდის, თუმცა ბედის ირონიით, ის, რაც ადრე აკრძალული იყო, თითქოს, ახლა უინტერესოა. სამწუხაროდ, კითხვა სულ უფრო ნაკლებპოპულარულია და ყველაფერი – გაზეთი, ჟურნალი და წიგნიც კი, სოციალურმა ქსელმა და ინტერნეტმა ჩაანაცვლა. არადა, კომუნისტების დროს, საბჭოთა ხალხი ყველაზე ნაკითხებად ითვლებოდნენ მსოფლიოში და 15 რესპუბლიკას შორის, მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით, საქართველო მეცნიერებისა და აკადემიკოსების ოდენობით, პირველი იყო. სამწუხაროდ, ახლა, იმავე მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლით, კორონავირუსის გავრცელებითა და გარდაცვალების მაჩვენებლით, მსოფლიოს 220 ქვეყნის ტოპ-ათეულში შევდივართ.**

# ინცესტი – რატომ მოკლა 19 წლის ბიჭმა დეიდა, რომელთანაც სარეცელს იზიარებდა

## გამქრალი ოქროულობა და ხანძარი ბინაში, სადაც მკვლელობა მოხდა

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ერთი შეხედვით, რიგითი დანაშაულია და მას გრიფით საიდუმლო არ უნდა ედოს, მაგრამ იმის გამო, რომ აღნიშნული დანაშაულის გახმაურების შემთხვევაში, შესაძლოა, საბჭოთა მოქალაქის მორალური მხარე შებღალულიყო, მასალები გაასაიდუმლოეს. მით უმეტეს, რომ დანაშაული არ მოხდა დედაქალაქში, არც სიდიდით მეორე თუ მესამე ქალაქში, ეს იყო არაფრით გამორჩეული, მშვიდი რაიონი, სადაც ყველა ყველას იცნობდა. ამიტომ, როცა სამსართულიანი კორპუსის ერთ-ერთი ბინიდან კვამლი გამოვიდა, ლამის, მთელი რაიონი დაირაზმა და სანამ სახანძროს მანქანა მოვიდოდა, მეზობლებმა კარიც შეტეხეს და ცეცხლიც ჩააქრეს, თუმცა ჩასაქრობი არაფერი იყო – ცეცხლი ლოგინზე დაყრილ წიგნებს ეკიდა, რასაც ერთი გრაფინი წყალი ეყო, აი, იატაკზე კი... იატაკზე სახლის პატრონის, 52 წლის ქალის უსიცოცხლო სხეული იყო დასვენებული, თავთან ახლოს სისხლის გუბე იდგა, რაღა თქმა უნდა, ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ, მეზობლებმა იქაურობა დატოვეს და მილიციის თანამშრომლებს დაელოდნენ.

როგორც ადგილზე მისულმა ექსპერტმა გაარკვია, ქალი ბროლის ლარნაკის ჩარტყმით იყო მოკლული. ლარნაკიც იქვე, ლოგინზე ეგდო და როგორც ჩანს, მკვლელმა ცეცხლის გაჩენა კვალის დაფარვის მიზნით გადაწყვიტა, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა – როგორც კი მეზობლებმა კვამლი შენიშნეს, სასწრაფო წესით იმოქმედეს.

გარდაცვლილის და და დისშვილი მოპირდაპირე კორპუსში ცხოვრობდნენ და 19 წლის ბიჭი იყო პირველი, ვინც კარის შემტვრევა დაიწყო, შემდეგ მას უფროსები მიეხმარნენ და ბინაშიც ასე აღმოჩდნენ. მეზობლების თქმით, იმის მიუხედავად, რომ ქალი 52 წლის გახლდათ, ძალიან კარგად გამოიყურებოდა და რაც მთავარია, ის გათხოვებას აპირებდა. მისი რჩეული ახლო სოფლიდან იყო, 35 წლის ახალგაზრდა, რომელსაც ლამის დედის ასაკის ქალი ყურებამდე შეუყვარდა. სამართალდამცავებმა იეჭვეს, შესაძლებელია, ქალი სწორედ საქმროს მოეკლა, ეჭვიანობის ან თუნდაც ყოფით ნიადაგზე და სოფელშიც წავიდნენ, მაგრამ იქ უთხრეს, რომ მამაკაცი სამი დღის წინ წავიდა სოფლიდან და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. პარალელურად, გარდაცვლილი ქალის კარის მეზობელი ამტკიცებდა, ყოველთვის ვამჩნევდი, როცა ის კაცი სტუმრად მოდიოდა, მაგრამ ბოლო სამი დღე ნამდვილად არ გამოჩენილაო და ზოგადად, სამეზობლო თავს დებდა, უცხო არავინ შეგვინიშნავსო.

საქმროს გაუჩინარება ეჭვებს უფრო აძლიერებდა, მაგრამ ყველაფერი ძალიან მარტივად გაირკვა. მამაკაცი ბეჭდის საყიდლად თბილისში წავიდა, სასადილოში ლუდი დალია, არაყი მიაყოლა, მერე ვიღაც აუშარდა, იჩხუბეს და ჩხუბის გამო, სამი დღით გამოსაფხიზლებელში გამოკეტეს. ერთი შეხედვით, ყველაფერი ეს კარგი ალიბის შექმნის მცდელობას ჰგავდა, მაგრამ როცა კაცმა გაიგო, რომ მისი საცოლე, 52 წლის ქალი მოკლეს, ნამდვილი ისტერიკა დაემართა, მის დამშვიდებას დამაწყნარებელი ნემსის გაკეთება დასჭირდა. აზრზე რომ მოვიდა და იგივე კვლავ გაუმეორეს, გული წაუვიდა. გამომძიებლები მიხვდნენ, რომ კაცი ამას ვერ დადგამდა, გულის წასვლას ვერ მოიგონებდა და საქმრო ეჭვმიტანილების სიიდან ამოიღეს.

მეზობლების დაკითხვის შემდეგ, გარდაცვლილის და და დისშვილი დაიკითხნენ. ორივემ დაადასტურა, რომ ქალი მამაკაცთა მხრიდან ყურადღებას არასდროს უჩიოდა და რაც მთავარია, მას ძალიან ძვირფას საჩუქრებს ჩუქნიდნენ. წესითა და რიგით, სახლში დიდი ოდენობის ოქროული უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ბინა საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, ოქროს კვალს ვერ მიაგნეს. გაჩნდა ვერსია, რომ ქალი სწორედ ოქროულის გამო მოკლეს და შემდეგ ცეცხლის გაჩენაც სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ.

დამ და დისშვილმა დეტალურად აღწერეს ოქროული, რადგან არაერთხელ ჰქონდათ ნანახი ბეჭდები, ყელსაბამები, საყურეები, რომლებიც საოჯახო ალბომში არსებულ რამდენიმე ფოტოზეც იყო აღბეჭდილი. სამართალდამცავებმა ნაქურდალის შემსყიდველებს მიაკითხეს და კატეგორიულად გააფრთხილეს, თუ რაიმე გამოჩნდებოდა, აუცილებლად ეცნობებინათ, რადგან საქმე არა მარტო ქურდობას, არამედ, მკვლელობასაც ეხებოდა.

დაახლოებით, ერთი კვირა გავიდა, თუმცა გამოძიების მიმართულებით არაფერი შეცვლილა. ყველაფერთან ერთად, სამართალდამცავებს თავი გარდაცვლილის დისშვილმაც მოაბეზრა, ბიჭი დღეში რამდენჯერმე მიდიოდა განყოფილებაში და ეკითხებოდა, მკვლელი ხომ არ დაგიკავებიათო?! საბოლოო ჯამში, ყველაფერმა ამან ისეთი აუტანელი ხასიათი მიიღო, რომ გამომძიებლებმა მოურიდებლად მიახალეს, ყველაფერი უმაღლეს დონეზეა შესრულებული, შეიძლება, ვერასდროს ვიპოვოთო. ჰოდა, ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ბიჭი გაბრუნდა და აღარ გამოჩენილა, თუმცა ერთ-ერთი სამართალდამცავი ამტკიცებდა, როცა ეს ფრაზა გაიგონა, სიამოვნებისგან თვალები გაუბრწყინდაო. პრინციპში, ძალოვნებს არც სხვა ვერსია ჰქონდათ, არც ეჭვმიტანილი ჰყავდათ, საქმე კი როგორმე უნდა დაეძრათ და ამიტომ, გარდაცვლილის დისშვილის თვალთვალი დაიწყეს. ამან შედეგი არ მოიტანა, ბიჭი კანონსაწინააღმდეგოს არაფერს სჩადიოდა და მილიციის თანამშრომლებმა ხრიკი იხმარეს – თავად მიაკითხეს ბიჭს ბინაზე და უთხრეს, აგენტმა შეატყობინა, სავარაუდოდ, დეიდის ბინიდან დაკარგული ერთ-ერთი ნივთის გაყიდვას აპირებდნენ და ეს ნივთი მეორე დღეს, კონკრეტულ მისამართზე უნდა მიეტანათ.

ჰოდა, გამომძიებლებმა ბიჭს უთხრეს, ხვალ არაფერი დაგეგმო, ნივთის ამოცნობაზე დაგვჭირდებიო.

როგორც კი სამართალდამცავებმა ბინა დატოვეს, ხუთ წუთში, კორპუსის ეზოში ბიჭიც გამოვიდა, დეიდის სადარბაზოში შევიდა და კორპუსის სხვენზე აძვრა. ეჭვი რომ არაფერზე აეღო, ბიჭს კიბეზე ოპერმუშაკი ქალი აჰყვა და სწორედ მან ანიშნა კოლეგებს, ბიჭი სხვენზეაო. ორი ოპერმუშაკი სხვენზე აძვრა და ბიჭს მაშინ ჩაავლო, როცა კუთხეში მიმალულ, თავსაფარში გახვეულ ოქროულს ხსნიდა. რა თქმა უნდა, ის მაშინვე დააკავეს, დაკითხვაზე წაიყვანეს და გრიფით „საიდუმლოც“ საქმეს სწორედ მისი აღიარებითი ჩვენების შემდეგ დაადეს.

„დეიდასთან ხშირად ვრჩებოდი, რადგან დედა ღამის ცვლაში მუშაობდა. პირველად 15 წლის ვიყავი, როცა სიცხე მომცა, ძალიან ცუდად გავხდი, მციოდა და დეიდა ჩემთან დაწვა. ისე არაბუნებრივად მომეკრა, რომ... მაშინ პირველად ვიყავი ქალთან, რეალურად, დეიდის გარდა, არავინ მყვარებია და არავისთან ვყოფილვარ. ის ჩემთვის ყველაფერი იყო, სამყაროს დასაწყისიც და დასასრულიც, არანორმალურად მიყვარდა. რა თქმა უნდა, ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ, დეიდამ გამომიცხადა, ვთხოვდები, ჩვენი ურთიერთობა დასრულდება და უკვე დროა, შენი ტოლი და სწორი იპოვო, მე აღარ გჭირდებიო. სწორედ ამისთვის ვიყავი მასთან სასაუბროდ, მინდოდა, დამერწმუნებინა, რომ არ გათხოვილიყო და სიცოცხლის ბოლომდე მის გვერდით ვიქნებოდი, მაგრამ უარი მითხრა. მერე ყველაფერი სპონტანურად მოხდა, კარგად არც მახსოვს, როგორ მოვკალი. ოქროულის მოპარვაც იმიტომ მოვიფიქრე, რომ გამოძიება სხვა მიმართულებით წასულიყო. ამ ოქროულს არასდროს გავყიდდი, ის ჩემთვის სახსოვარი იყო. როცა მითხრეს, რომ ერთ-ერთი ნივთი გამოჩნდა, ვიფიქრე, ალბათ, ვიღაცამ სამალავს მიაგნო-მეთქი და შესამოწმებლად წავედი“, – სულ ეს იყო, რაც დაკავებულმა თქვა.

სასამართლო პროცესი დახურული იყო და თბილისში გაიმართა. ბიჭის დედას „ურჩიეს“, საცხოვრებელი შეეცვალა და იმის მიუხედავად, რომ მეზობლები ცოტა ხანს კიდევ ჭორაობდნენ, ამ ორი ოჯახის კვალი რაიონიდან სამუდამოდ გაქრა, თითქოს, იქ არასდროს უცხოვრია. მკვლელს 12 წელი მიუსაჯეს, თუმცა ესეც პირობითი მსჯავრი იყო – სასჯელაღსრულების ღია ტიპის დაწესებულებაში გადასვლიდან რამდენიმე კვირაში, ბიჭი საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. ძიება მალე დასრულდა და დასკვნაში ეწერა, რომ მან თავი ჩამოიხრჩო. ჰო, ეს მაშინ მოხდა, როცა იმავე საკანში, კიდევ 11 პატიმარს... ეძინა.

ბათო ჯაფარიძე

**ძველ თაობას კარგად ახსოვს „გაი“. იმ ადგილებსაც იხსენებენ, სადაც „გაიშნიკებმა“ ჩასაფრება იცოდნენ და მანქანის სიჩქარის გადაჭარბების, ან სხვა დარღვევის გამო, მძღოლებს აჩერებდნენ, ფულს ართმევდნენ, ვისაც ფული არ ჰქონდა, აჯარიმებდნენ, ტალონს უხვრეტდნენ. მოკლედ, ეს ფულის საჭრელი მანქანა იყო და მაშინ „გაიშნიკები“ ცუდ ცხოვრებას ნამდვილად არ უჩიოდნენ. საბედნიეროდ, დღეს არ ხდება, რომ დარღვევის გამო, პატრულის თანამშრომლებმა მძღოლს ქრთამი გამოართვან. პრინციპში, შეთავაზებასაც ვერავინ ბედავს, რადგან ეს ცალკე დანაშაულია და შესაძლოა, საგზაო წესების დარღვევას, სისხლის სამართლის დანაშაული, ქრთამის შეთავაზება დაემატოს.**

# „გაიშნიკის“ სკანდალური აღსარება

## სქემა, რომლითაც 90-იან წლებში, მანქანებს იპარავდნენ და ოკუპირებულ ცხინვალში ჰყიდდნენ

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ „გაიშნიკებს“ უკავშირდება. ის მაშინ მოხდა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის გემო ახალი გაგებული ჰქონდა და „გაის“ თანამშრომლები საგზაო ინფრასტრუქტურის ისეთივე განუყოფელი ნაწილი იყვნენ, როგორც, მაგალითად, საგზაო ნიშანი ან შუქნიშანია. სამწუხაროდ, მაშინ საქართველოში, ავტომობილების ქურდობა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, ყველამ იცოდა, ვისთან უნდა მისულიყვნენ „ვაზვრატზე“, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ავტომობილზე შეკვეთა რუსეთიდან მოდიოდა და ასეთ დროს, „ვაზვრატიც“ გამორიცხული იყო – ავტომანქანა ცხინვალში, იქიდან კი ვლადიკავკაზში გადაჰქონდათ და მორჩა, მფლობელი ვეღარასოდეს ნახავდა. უფრო სამწუხარო კი ის გახლდათ, რომ ასეთ დროს, საქმის კურსში იყვნენ ძალოვნებიც, ისინი „შესაწირს“ იღებდნენ მანქანების გამტაცებლებისგან და ეს თანხა 300-დან 500 დოლარამდე მერყეობდა. შესაბამისად, საზღვარზე, რომლის ერთ მხარესაც რუსი ოკუპანტები იდგნენ, მეორე მხარეს კი – ქართველები, თვალს ხუჭავდნენ, რომ მანქანას არც მფლობელი მართავდა, არც ტექ-პასპორტი ჰქონდა, ხოლო მძღოლს – არც მართვის მოწმობა. ჰო, მაშინ მანქანაში მფლობელი ან საჭესთან უნდა მჯდარიყო, ან მძღოლის გვერდით, ან მძღოლს მინდობილობა უნდა ჰქონოდა.

საგზაო მილიციის თანამშრომელი, რომელიც მაშინ, სწორედ ამ მიმართულებით მუშაობდა, ჩვენთან საუბარში იხსენებს, რომ ხშირად, ღამის განმავლობაში, 10 და 20 მანქანაც კი გადაუყვანიათ ცხინვალში და რადგან ზემდგომების ბრძანება იყო, მათთვის ხელი არავის შეუშლია, თუმცა ისე მოხდა, რომ რამდენჯერმე ისეთი მანქანა გადაიყვანეს, რომლის მძღოლიც შინ არ დაბრუნდა ანუ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ოჯახი ჩიოდა, მანქანასა და მის პატრონს ერთნაირად ეძებდა, მაგრამ რადგანაც ავტომობილის გადაყვანაში მაღალჩინისნები იყვნენ გარეულნი, ხმას არავინ იღებდა და ორივე – მძღლიცა და მანქანაც, უბრალოდ, დაკარგულად ცხადდებოდა.

სამაგიეროდ, სამინისტროში ეყოთ ჭკუა და მიხვდნენ, რომ ადამიანები შემთხვევით არ უჩინარდებოდნენ, ეს არ იყო რიგითი კრიმინალი და ქურდობა – მძღოლებს, უბრალოდ, თავიდან იშორებდნენ.

„ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ვერავინ ხვდებოდა, რომელი გახლდათ ე.წ. ნაყაჩაღარი მანქანა, რადგან ოჯახის წევრებს მილიციაში განცხადება, საუკეთესო შემთხვევაში, მეორე დღეს მოჰქონდათ, მანქანა კი იმავე დღეს კვეთდა პირობით საზღვარს, თანაც არცთუ იშვიათად, „ხელზე გამაზვები“ მიდიოდა ანუ ხელმძღვანელობა საქმის კურსში არ იყო და ქართული მხარე თუ გაატარებდა, იქეთ მოლაპარაკება ადვილი გახლდათ. აქეთ თუ რამდენიმე ასეული დოლარი ჯდებოდა, იქეთ სამი ლიტრი ჭაჭაც კი ჭრიდა. ამიტომ, დამნაშავეების დაკავება გართულდა. ან ზემოთ უნდა ეთქვათ უარი ქრთამზე ან ქვედა რგოლს გამოეჩინა სიმკაცრე და საზღვარზე ერთი მანქანაც აღარ გაეტარებინა“, – გვიყვება ყოფილი „გაიშნიკი“.

მოპარული მანქანების ტალღის შეჩერება მარტივი არ იყო. ყველაფერს „კანონიერი ქურდები“ აკონტროლებდნენ და მაშინ მათ მინისტრის დონის ძალაუფლება ჰქონდათ. ჰო, იყო ასეთი პერიოდი საქართველოში, როცა „კანონიერი ქურდები“ მინისტრის მოადგილეებზე მეტს წყვეტდნენ, მინისტრების დონის გავლენა ჰქონდათ და როცა ისინი სხვადასხვა ქვეყანაში მიფრინავდნენ ან მოფრინავდნენ, აეროპორტში, დიპლომატიური შესასვლელ-გასასვლელით სარგებლობდნენ, სამთავრობო მანქანებით გადაადგილდებოდნენ და ყველაფერი ეს, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა.

დაკარგული მძღოლებიდან ერთ-ერთის ცოლი ამტკიცებდა, გამორიცხული იყო, ჩემს ქმარს მანქანა ვინმესთვის გაეჩერებინა, სამსახურიდან სახლში მოდიოდა, დამირეკა კიდეც სამსახურიდან გამოსვლის წინ და შემდეგ გაუჩინარდაო. მისივე მტკიცებით, ქმარს იარაღი მუდმივად დაჰქონდა და გამორიცხული იყო, ვინმეს სროლა დაესწრო, რადგან სოლიდური შემოსავალი ჰქონდა და ნებისმიერ რამესა თუ ვინმეში საფრთხეს ხედავდა. სამსახურიდან სახლამდე, დაახლოებით, 12 კილომეტრი იყო და ამ მონაკვეთში, კაცი მანქანიანად გაქრა. სამართალდამცავებმა გზა რამდენჯერმე გაიარეს და საეჭვო ვერაფერი შენიშნეს, იმ მონაკვეთში არც ავარია ფიქსირდებოდა, არც ისეთი ადგილი იყო, კაცს რომ გაეჩერებინა, გადმოსულიყო და რაც მთავარია, მისი განიარაღება მომხდარიყო. რა მოხდა, ვერავინ ხვდებოდა, სანამ საქმეში კვლავ... „გაიშნიკები“ არ ჩაერივნენ.

„ერთ-ერთი ჯგუფი უფროსთან უკმაყოფილოდ შევიდა და თქვა, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე, კვირაში ერთხელ მაინც, სხვა „გაიშნიკები“ დგებოდნენ, ლუკმა-პურს ართმევდნენ, როგორც ამბობდნენ, „გამწვანებული“ ქურდებთან ჰქონდათ და საწევროსაც არ იხდიდნენ. საგზაოს უფროსმა გაოცებისგან პირი დააღო, ჩემთან არავინ შეთანხმებულა, არც ქურდებზე ვიცი რამე, როგორც კი უცხოებს ნახავთ, დააკავეთ და აქ მომგვარეთო“, – გვიყვება ყოფილი „გაიშნიკი“.

მართლაც, ორ დღეში, „ტრასის უფროსის“ კაბინეტში სამი პირი შეიყვანეს, რომლებსაც „გაიშნიკების“ ფორმა კი ეცვათ, მაგრამ საბუთი არ ჰქონდათ და როგორც სხვებს, უფროსსაც უთხრეს, რომ მათ უკან, ერთ-ერთი გავლენიანი ქურდი იდგა. მალე „კრიშა“ განყოფილებაში მივიდა და ხმაური ატეხა, ჩემს ბიჭებს ხელს რატომ ჰკიდებთ, მაგათ სხვა ფუნქცია აქვთ, გაჭირვებულ მძღოლებს არაფერს ართმევენო. სამართალდამცავების ყურადღება სწორედ ამან მიიპყრო და იმ ადგილის თვალთვალი დაიწყეს. ოთხ დღეში, „გაიშნიკების“ ფორმაში გადაცმულმა კრიმინალებმა ძვირადღირებული ავტომობილი გააჩერეს, მძღოლი მანქანიდან გადმოიყვანეს და... თავში რკინის ხელკეტის ჩარტყმით გათიშეს, საკუთარი ავტომობილის საბარგულში ჩააგდეს, შემდეგ საჭეს მიუსხდნენ და გეზი პირდაპირ ცხინვალისკენ აიღეს. ისინი გორის გზაზე დააკავეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქურდი საქმეში კვლავ ჩაერია, მომხდარის შესახებ საქმის კურსში უკვე შს მინისტრი იყო და თვალის დახუჭვა აღარ გამოვიდოდა. როგორც გაირკვა, კრიმინალები მანქანის მძღოლებს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე იშორებდნენ თავიდან – კლავდნენ და დამარხვასაც არ ცდილობდნენ. როცა ცხედარს იქაური სამართალდამცავები პოულობდნენ, არც კითხულობდნენ, ვინ იყო, რა უნდოდა, ხვდებოდნენ, რაც მოხდა და უპატრონოთა სასაფლაოზე მარხავდნენ. მაშინ ასეთი ოთხი საფლავი აღმოაჩინეს, უფრო ზუსტად კი, ოთხი გარდაცვლილის იდენტიფიცირება მოხდა და სწორედ ეს შემთხვევა გახდა ცხინვალში მოპარული მანქანების გადაყვანის გამკაცრების მიზეზი.

„ეს იყო პერიოდი, როცა ადამიანის სიცოცხლე არაფრად ღირდა და ჩვენც, სამართალდამცავებიც, ყველაზე მეტად საკუთარ სიცოცხლეს ვუფრთხილდებოდით, რადგან ჩვენი მოკვლაც ისევე მარტივად შეიძლებოდა, როგორც სხვების“, -გვეუბნება ყოფილი ძალოვანი და მისი სიტყვები დღევანდელობასაც მიესადაგება.

შესაძლოა, ახლა მკვლელობას ისე მარტივად აღარ სჩადიან და მანქანების გამოც არავის კლავენ, მაგრამ ადამიანების გარდაცვალებასა და ამ ამბის ყოველდღიურად მოსმენას მივეჩვიეთ. იმდენად მივეჩვიეთ, რომ ყოველდღიურად, გარდაცვლილი 30 თუ 40 ადამიანი, უბრალოდ, სტატისტიკური მონაცემია.

## საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრს აშშ-ის ელჩი ეწვია

საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრს, აშშ-ის ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი ესტუმრა. ელჩს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსის პირველმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა გოჩა ჯანჯღავამ უმასპინძლა.

სამუშაო შეხვედრას სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი – I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე, საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის უფროსი – II რანგის კაპიტანი შოთა მიროტაძე და აშშ-ის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების (EXBS) პროგრამის ხელმძღვანელი როზი პეტროვი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე, პოლკოვნიკმა გოჩა ჯანჯღავამ ელჩს სტუმრობისა და წარმატებული თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა ერთობლივ პროექტებზე, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებსა და საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის პროგრესზე ისაუბრეს. JMOC-ის უფროსმა აშშ-ის დელეგაციის წევრებს ცენტრის საქმიანობის, მიღწეული შედეგებისა და განვითარების გეგმების შესახებ დეტალური პრეზენტაცია წარუდგინა. აშშ-ის ელჩმა ყურადღება სასაზღვრო პოლიციასთან ნაყოფიერ თანამშრომლობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ამაყობს მიღწეული პროგრესით.

საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი აშშ-ის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) დაფინანსებით შეიქმნა. მასში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაა გაერთიანებული, რომელთა კოორდინაციასაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ახდენს.

## პოლიციამ გორში ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1940 წელს დაბადებული კ.მ., ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა გორში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, შვილს – 1975 წელს დაბადებულ გ.მ.-ს, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაშია მოთავსებული.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 19 -109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## პოლიციამ იმერეთსა და სამეგრელოში ავტომობილების გაქურდვის ფაქტები გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფოთში, სატვირთო ავტომობილების გაქურდვის ფაქტებზე სამი პირი დააკავა, ქუთაისში კი ავტომანქანების გაქურდვის ფაქტზე სამი არასრულწლოვანი ამხილა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით, სამი პირი: 2000 წელს დაბადებული ზ.ჩ., 2000 წელს დაბადებული დ.ჭ. და 2001 წელს დაბადებული დ.ღ. ფოთში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 31 იანვარს, ფოთში, სხვადასხვა ქუჩაზე გაჩერებული ავტომობილები გაქურდეს და მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა სამივე მათგანი ცხელ კვალზე დააკავეს.

რაც შეეხება მხილებულ პირებს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ფაქტზე სამი არასრულწლოვანი – 2007 წელს დაბადებული გ.მ., 2007 წელს დაბადებული ლ.მ. და 2008 წელს დაბადებული ს.მ. ამხილეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არასრულწლოვნებმა, მიმდინარე წლის 29 იანვარს, ქუთაისში, ხარებავას ქუჩაზე, 5 ავტომანქანა გაქურდეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა სამივე არასრულწლოვანი მომხდარი ფაქტიდან მეორე დღეს ამხილეს. პოლიციამ მოპარული ნივთების ნაწილი ნივთმტკიცების სახით ამოიღო. მხილებული არასრულწლოვნები დანაშაულს აღიარებენ.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ფოთში მომხდარ ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობას გულისხმობს, ხოლო ქუთაისში მომხდარ ფაქტებზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობას გულისხმობს.

## პოლიციამ ქუთაისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული გ.თ. ქუთაისში დააკავეს. მას ბრალად ყაჩაღობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება ედება.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 30 იანვარს, ქუთაისში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ აფთიაქში, პისტოლეტის მუქარით, ფარმაცევტებს დაახლოებით 300 ლარის ოდენობის თანხა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა თავდამსხმელი მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი და ყაჩაღური გზით დაუფლებული თანხა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს.

## პოლიციამ მესტიისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიისა და მარტვილის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული ბ.ფ. და 1949 წელს დაბადებული ა.ლ. დააკავეს. მათ ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში ედებათ.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, მესტიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ბ.ფ.-ის საცხოვრებელ სახლში არსებული სამალავიდან, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 100 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

რაც შეეხება ა.ლ.-ს, პოლიციამ მარტვილის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში მდებარე სათავსოდან, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 6 მჭიდი, 93 ვაზნა, 4 კაფსულ-დეტონატორი და არარეგისტრირებული ორლულიანი სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

*police.ge*

# შოთა არველაძე „ჰალის“ მწვრთნელია

როგორც ადრე გამცნეთ, ძალიან დიდი იყო იმის ალბათობა, რომ შოთა არველაძე ინგლისური ჩემპიონშიპის კლუბის მთავარ მწვრთნელად დანიშნულიყო. „ჰალ სიტი“, რომელსაც ახლა მძიმე დროება უდგას, გაიყიდა და კლუბის აქციები არველაძის მეგობარმა, თურქმა ბიზნესმენმა, აჯუნ ილიჯალიმ შეიძინა. ახლა შოთამ უნდა მოახერხოს ის, რომ გუნდმა ჩემპიონშიპში ადგილი შეინარჩუნოს, მომავალი სეზონიდან კი პრემიერ-ლიგის საგზურისთვის იბრძოლოს. არველაძე პირველი ქართველი მწვრთნელია, ვინც ძალებს ნისლიან ალბიონზე მოსინჯავს. ინგლისურმა კლუბმა მასთან 2.5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, ანუ მიმდინარე სეზონის ნახევარი და მომდევნო ორი წელი.

**„მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც საშუალება მომცა, რომ „ჰალის“ მწვრთნელი გავმხდარიყავი. მჯერა, რომ თითოეულ ადამიანს, რომელიც საფეხბურთო სექტორშია, ინგლისში მუშაობა სურს... ბედნიერი ვარ და ახლა ჩემი ოჯახი ძალიან ამაყობს. მოტივირებული ვარ, რათა ამ ბიჭებთან ერთად, კარგი შედეგი ვაჩვენოთ. მიყვარს მიმზიდველი, შემტევი ფეხბურთი. როდესაც გულშემატკივარი მოედანზე მოდის, მას ლამაზი თამაშის ხილვა სურს. მთავარი მიზანი ყოველთვის გამარჯვება იქნება. მოუთმენლად ველი მატჩს „სუონსისთან“ და ჩვენს ფანებთან შეხვედრას. გულშემატკივრები უნდა მოვიდნენ და უგულშემატკივრონ კლუბს, რომელიც უყვართ და ბიჭებს მხარი დაუჭირონ. მოდით, ეს გავაკეთოთ და ერთად გავიმარჯვოთ“,** – ეს განცხადება შოთამ მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ გააკეთა.

29 იანვარს კი მისი დებიუტიც შედგა. „ჰალ სიტიმ“ საკუთარ მოედანზე „სუონსი“ მიიღო და 2:0 დაამარცხა. ნამატჩევს მთელი სტადიონი – არველაძე, არველაძეს გაჰკიოდა, ადგილობრივმა მედიამ კი ქართველ სპეციალისტს საინტერესო ნახატიც მიუძღვნა.

# ჩაკვეტაძე „ჰამბურგში“ გადავიდა

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემტევი, გიორგი ჩაკვეტაძე სეზონის ბოლომდე, II ბუნდესლიგის კლუბის, „ჰამბურგის“ ღირსებას დაიცავს. ბელგიურმა „გენტმა“ ქართველი ნახევარმცველი გერმანულ კლუბში, საბოლოო გამოსყიდვის უფლებით, სეზონოს ბოლომდე, ივჯარის წესით გაუშვა.

იმის მიუხედავად, რომ „ჰამბურგი“ დღეის მდგომარეობით, მეორე ბუნდესლიგაში გამოდის, ამ გუნდის სიდიადეს არ აკნინებს. თავის დროზე, ძლევამოსილ კლუბს ჩემპიონთა ლიგა აქვს მოგებული და ახლაც, უძლიერესთა შორის დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. 20 ტურის შემდეგ, „ჰამბურგი“ II ბუნდესლიგაში, მეხუთე ადგილზეა, თუმცა ლიდერ „დარმშტადს“ სულ რაღაც 5 ქულით ჩამორჩება, მეორეადგილოსან „სანქტ პაულს“ კი – 3 ქულით, რაც ძალიან ცოტაა.

სეზონის ბოლოს, თუ გერმანელები გიორგის თამაშით კმაყოფილი დარჩებიან, მაშინ მის გამოსყიდვაზე იქნება საუბარი, თუ არა და... მთავარია, ჩაკვეტაძე ტრავმებმა არ შეაწუხოს და მოედანზე გასვლის შესაძლებლობა მიეცეს, მისი ნიჭის პატრონს, თავის დამკვიდრება არ უნდა გაუჭირდეს.

# კანკავამ სანაკრებო კარიერა დაასრულა

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა, ჯაბა კანკავამ სანაკრებო კარიერა დაასრულა. ამის შესახებ მან განცხადება სოციალურ ქსელში, ოფიციალურ გვერდზე გააკეთა და აღნიშნა, რომ წასვლის დრო დადგა. 35 წლის ფეხბურთელი ეროვნული გუნდის ღირსებას 17 წლის განმავლობაში იცავდა. ამ ხნის მანძილზე, 100 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 10 გოლი გაიტანა. რაც მთავარია, კანკავა არის ის ფეხბურთელი, რომლის მიმართაც გულშემატკივარს პრეტენზია არასოდეს ჰქონია და ყველა აღიარებდა, რომ ჯაბა მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა.

**„მადლობა, კაპიტანო, რასაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებსა და კარიერაში მიაღწიე. მადლობა, რომ მაგალითის მიმცემი იყავი თანაგუნდელებისა და მომავალი თაობისთვის. ბედნიერი ვარ, რომ შენი მწვრთნელობის პატივი მერგო. მადლობა, კაპიტანო, მადლობა, ლეგენდავ!“,** – ასე დაემშვიდობა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ვილი სანიოლი კანკავას.

ჯაბამ ნაკრები კაპიტნის სამკლაურით 62-ჯერ გაიყვანა სათამაშოდ, რაც ჩვენი ეროვნული გუნდის რეკორდია.

# გაფრინდაშვილმა პირველი პარტია მოიგო

მსოფლიო ჭადრაგის ლეგენდის, ნონა გაფრინდაშვილისა და კომპანია Netflix-ის სასამართლო დავა გრძელდება. ეს იმის მიუხედავად, რომ Netflix-ის ადვოკატებმა პირველ პროცესზე სარჩელის უარყოფა მოითხოვეს, აქაოდა, ფილმი, რომელზეც მოჭადრაკე გვედავება, მხატვრულია და არა დოკუმენტურიო, თუმცა...

**„ის ფაქტი, რომ სერიალი გამოგონილია, არ იცავს Netflix-ს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობისგან“,** – ნათქვამია მოსამართლის გადაწყვეტილებაში.

სხვათა შორის, სასამართლო განხილვისას, დაიკითხა სერიალის სცენარის ავტორი, სკოტ ფრენკი. სკოტმა აღიარა, რომ მოჭადრაკის შესახებ სიმართლე იცოდა.

**„ფრენკი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ იცოდა სიმართლე ნონა გაფრინდაშვილის კარიერული მიღწევების შესახებ, რაც ადასტურებს Netflix-ის მიერ მცდარი ფაქტების მიზანმიმართულად გავრცელებას. ამ დაკითხვამ უკვე შექმნა ცხადი სურათი. Netflix-მა სკოტის ჩვენება საქმეს თავის სასარგებლოდ დაურთო. ახლა, როცა წარვადგინეთ ჩვენი პოზიცია, სკოტის ჩვენებას ვიყენებთ საჩვენოდ“,** – განაცხადა ქალბატონი ნონას ადვოკატმა, მაია მწარიაშვილმა.

**„მე ვიცავ ჩემს განვლილ ცხოვრებას, ეროვნებასა და მიღწევებს, რომლებსაც უღირსად შეეხნენ. მე ვარ ნონა გაფრინდაშვილი, ვარ ქართველი. დიახ, მთელი კარიერის მანძილზე, მე ვეთამაშებოდი მამაკაც მოჭადრაკეებს და ხშირად ვამარცხებდი მათ, ამიტომაც მერგო პატივი, გავმხდარიყავი პირველი ქალი დიდოსტატი მამაკაცებს შორის. უღრმეს მადლობას ვუხდი უამრავ ადამიანს საქართველოში და მთელ მსოფლიოში, ვინც მე მხარდაჭერა და თანადგომა გამომიცხადა. ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე გრძელდება“,** – ეს განცხადება კი ქალბატონმა ნონამ გააკეთა.

# 27 თებერვალს, საქართველო VS რუსეთი

27 თებერვალს, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 250-ე შეხვედრას გამართავს. რაგბი ევროპის ჩემპიონატის (პარალელურად, მსოფლიო თასის შესარჩევი) ეგიდით, „ბორჯღალოსნები“ „დინამო არენაზე“ რუსეთს შეხვდებიან. ბილეთების გაყიდვა უკვე დაწყებულია და რაგბის კავშირი ამასთან დაკავშირებით, სპეციალურ განცხადებას ავრცელებს: **„ქვეყანაში მოქმედი კოვიდრეგულაციებიდან გამომდინარე, თამაშზე გულშემატკივრების მხოლოდ 33 პროცენტი დაიშვება.**

**აუცილებელი კოვიდშემოწმების გათვალისწინებით, სტადიონზე შესვლა მაქსიმალურად მოკლე დროში რომ მოხდეს, შესასვლელში უნდა წარმოადგინოთ:**

**– თამაშის (ელექტრონული) ბილეთი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;**

**– კოვიდვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სასურველია, ამობეჭდილი QR კოდით);**

**– ან 72-საათიანი ვალიდურობის PCR-ტესტის უარყოფითი პასუხი (სასურველია, ამობეჭდილი);**

**– ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენ-ტესტის (სწრაფი ტესტი) უარყოფითი პასუხი (ამობეჭდილი);**

**– ან ბოლო 6 თვის განმავლობაში, კორონავირუსული ინფექციის გადატანის დამადასტურებელი ცნობა (ამობეჭდილი);**

**– ან წინასწარ შებრძანდით გვერდზე: www.covidpass.moh.gov.ge და ეკრანზე გქონდეთ წარმოდგენილი QR კოდი;**

**– ან წინასწარ შებრძანდით აპლიკაციაში Georgia E-Health და ეკრანზე გქონდეთ წარმოდგენილი QR კოდი;**

**– სტადიონის ტერიტორიაზე სავალდებულოა პირბადის ტარება;**

**– სოციალური დისტანციის დასაცავად, აუცილებელია, ყველა გულშემატკივარმა დაიკავოს ბილეთზე მითითებული ადგილი“.**

რუსეთის ნაკრები მოსამზადებელ შეკრებაზე თურქეთში იმყოფება და რა ძნელი მისახვედრია, რომ ისინი საქართველოსთან მატჩისთვის განსაკუთრებით ემზადებიან. მათ რიგებში კი სიახლეა – რუსეთის ნაკრებში ორი ქართველი ახალწვეულია – ყაზანის „სტრელას“ წევრი, ნიკოლაი კაზალიკაშვილი და ფრანგული „კარკასონის“ მორაგბე, ნიკოლოზ ნარმანია. ეს უკანასკნელი, თავის დროზე, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში გამოდიოდა, ახლა 21 წლის გახლავთ და... ასპარეზობა რუსეთის ეროვნულ გუნდში გადაწყვიტა. ყველამ თავის საქმე იცის, მაგრამ, საქართველოს დედაქალაქში, რუსეთის ჰიმნზე ამღერებული ქართველი, ცოტა არ იყოს, უცნაური სანახავია.

# ნადალმა ისტორია გადაწერა

ავსტრალიის ღია პირველობა დასრულდა და ფინალურ შეხვედრაში ესპანელმა რაფაელ ნადალმა, უმძიმეს ბრძოლაში, რუსი დანილ მედვედევი დაამარცხა. შეხვედრაში, რომელიც 5 საათსა და 28 წუთს გაგრძელდა, საბოლოოდ 2:6, 6:7, 6:4, 6:4, 7:5 დაფიქსირდა. გარდა იმისა, რომ ავსტრალიის ღია პირველობაზე, პირველად მოხდა, ზედიზედ ორი სეტის წაგების შემდეგ, ვინმეს ფინალი მოეგოს, ნადალი გახდა პირველი ჩოგბურთელი, რომელმაც დიდი მუზარადის ტურნირი 21-ჯერ მოიგო. 20-ჯერ ტურნირები, მის გარდა, როჯერ ფედერერსა და ნოვაკ ჯოკოვიჩს ჰქონდათ მოგებული, ახლა კი ნადალი მსოფლიოს ყველა დროის რეკორდსმენია. რადგან ჯოკოვიჩი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ სერბი ჩოგბურთელი და მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომერი ავსტრალიიდან გამოაძევეს და ტურნირში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ნოვაკი აუცრელია და აცრის გაკეთებას არც აპირებს, აუცრელ სპორტსმენებს კი აღნიშნულ ტურნირზე თამაშის უფლება არ აქვთ. ჰოდა, ახლა გაირკვა, რომ აუცრელ ჩოგბურთელებს არც დიდი მუზარადის სხვა ტურნირებზე დაუშვებენ და დიდი შანსია, ნოვაკმა აცრის გამო, ამერიკის ღია პირველობა, „როლან გაროსი“ და „უიმბლდონი“ გამოტოვოს.

# „ნემეცკი შჩოტი“

შოთა ჩანტლაძე

ელენე იყო 55 წლის ქვრივი. ერთადერთ ოთახში ბინადრობდა თვითონ და ორი მსუქანი კატა. იგი ქმრის პენსიით ცხოვრობდა და სხვა არავითარი შემოსავალი არ გააჩნდა. ამ სართულის ყველა ბინადარი ქალი ელენესთან იყრიდა თავს. ეს ხდებოდა საღამოს, როდესაც სამსახურიდან ბრუნდებოდნენ. იმართებოდა ლოტოს, ნარდისა და კარტის თამაში. იყო მხიარულება და სიცილი. ქალური აზარტი და მონდომება. თითქმის ყველა მათგანი მსუქანი იყო. თითქმის ყველა მათგანი სათვალეს ხმარობდა. მათი თქმით, ახალგაზრდობაში ყველანი ლამაზები იყვნენ და ყველას შეუფერებელი ქმრები ჰყავდა. ისინი ისხდნენ და თამაშობდნენ ლოტოს, კარტს და ნარდს, უფრო – ნარდს. ისინი გვიან ღამემდე არ წყვეტდნენ თამაშს და თუ შეწყვეტდნენ, მაშინ იმართებოდა დავა მოგებულსა და წაგებულს შორის. ეს ზოგჯერ იქამდე მიდიოდა, რომ ისინი სიტყვის დასამტკიცებლად, ისევ ანახლებდნენ თამაშს. ამ დროს თამაშს მეტი ინტერესი ჰქონდა. თამაშობდა ორი. დანარჩენები დაძაბულად ადევნებდნენ თვალს, სათვალე მისდევდა კამათლებს. კამათელი გორდებოდა გულიდან, კამათელი გორდებოდა გულში, კამათელი ტრიალებდა როგორც ბედი. კარნახის უფლება არავის ჰქონდა, მაგრამ დიდია ცდუნება აზარტის დემონის.

– შაშის კარები ჩაკეტე, – ისმოდა მითითება, – ასე მომიგებთ, აბა, რა იქნება, – იყო პასუხი.

ხანდახან იმართებოდა ასეთი დავაც:

– შაში ჩარი იყო!

– არა დუშაში!

– არა, შაში ჩარი!

ასეთი დავის დროს ავტორიტეტული სიტყვა ეკუთვნოდა იმას, ვისაც თამაშის დროს სათვალე არ სჭირდებოდა. მთავრდებოდა თამაში. წაგებულს სიცილს დააყრიდნენ. წაგებული წითლდებოდა და იმუქრებოდა, რომ მეორე დღეს სასტიკ რევანშს აიღებდა. ბოლოს, ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც მსახურობდა, მოიფიქრებდა სახლში წასვლას, შემდეგ სხვებსაც გაახსენდებოდათ საკუთარი სახლი და იშლებოდნენ. ასე ხდებოდა ყოველდღე. სხვა ბინადრებს უკეთესი ბინა ჰქონდათ, ვიდრე – ელენეს, მაგრამ თავმოყრა მაინც ელენეს ბინაში ხდებოდა.

ამის მიზეზი არა მარტო ელენეს სტუმართმოყვარეობა და მოცლილობა იყო, არამედ, ის აივანიც, რომელიც ქუჩას გადაჰყურებდა და კიდევ ერთი რამ, რასაც პატარა მნიშვნელობა არ ჰქონდა: ეს იყო საკონდიტრო ნაწარმთა ქარხანა. ეს ქარხანა, კვირა დღის გარდა, ყოველ დღე, საღამოს 8 სააათზე, ამაყად ყიოდა და ბოლთან ერთად ამოჰქონდა ტკბილ ნამცხვართა საამო სურნელება. ამ სანატრელი წუთების მოლოდინში ქალები თამაშით ირთობდნენ თავს. ხოლო როცა 8 საათი დაჰკრავდა, ისინი თავს ანებებდნენ თამაშს და გადიოდნენ აივანზე. ქარხანა დაიყივლებდა და ამ ყივილს თან ამოატანდა თავის ტკბილსურნელებით აღსავსე სულს. იღვრებოდა სურნელი, იღვრებოდა და აბრუებდა გარემოს. ასე გრძელდებოდა 5 წუთის განმავლობაში. ამ დროს ქალები ისხდნენ აივანზე და დუმდნენ. თვალმილულულნი იყნოსავდნენ ტკბილ ნამცხვართა საამო სურნელს. მხოლოდ იშვიათად თუ წაიჩურჩულებდა ვინმე: „ახ, რა კარგია“, „ჩუდო, იფ, იფ“. დამთავრდებოდა თუ არა ტკბილი წუთები, ისინი კვლავ ოთახში იყრიდნენ თავს და აგრძელებდნენ თამაშს. ასე ხდებოდა ყოველდღე.

ერთ გრილსა და მშვიდ საღამოს, როდესაც ნამცხვართა სურნელებისაგან დამთვრალი ქალები ისევ ოთახში მოგროვდნენ, ვარვარა ნიკიფოროვნას იდეა დაებადა:

– იცით, რა, ქალებო, შევაგროვოთ ფული და „ნემეცკი შჩოტით“ ტორტი ვიყიდოთ!

– მშვენიერი აზრია! – წამოიძახა ვერიჩკამ.

– გვეყო ამდენი ყნოსვა, ერთხელ გემოც გავსინჯოთ! – აღშფოთებით წარმოსთქვა ლიზამ.

– ვიყიდოთ, ვიყიდოთ! ოღონდ კარგი ხარისხის და ყველაზე დიდი. აი, ისეთი ზემელზე, გასტრონომში რომ იყიდება, – თქვა ანიკომ.

– ბოლოს და ბოლოს, თითომ 10 მანეთიც რომ დადოს, მაინც ვიყიდით! – დაასრულა ვარვარა ნიკიფოროვნამ.

ამ იდეამ ყველა აღაფრთოვანა. მეზობლებმა გადაწყვიტეს, მეორე დღეს ტორტი ეყიდათ და დრო გაეტარებინათ. იმ დღეს ისინი გვიან ღამემდე ტკბილეულობაზე ლაპარაკობდნენ. ყველა მათგანი ამჟღავნებდა თავისი პირის გემოს და სურვილებს. გამოითქვა აზრი, რომ ტკბილეულობის დამზადება სახლში უფრო იაფი ჯდება. ეს აზრი ერთხმად იქნა აღიარებული. ბოლოს, ისინი დაიშალნენ და თან წაიღეს ტკბილი მოლოდინი მეორე დღისა. მეორე დღეს მეზობლებმა თავი მოიყარეს. იყო საზეიმო განწყობა და ზეიმი. ოთახი ბრწყინავდა სისუფთავისგან. მაგიდას ამშვენებდა ახლადგარეცხილ და გახამებულ სუფრაზე ლარნაკში „ჩასმული“ ყვავილების თაიგული. მაგიდაზე იდო პატარა თეფშები ტორტისათვის. მაგიდაზე იდო დიდი თეფში ტორტით. დიდ ტორტზე იყო წარწერა: „შემჭამე, ძვირფასო“. როგორც ტორტის ყიდვის იდეა, ისე ეს წარწერაც ვარვარა ნიკიფოროვნას ეკუთვნოდა. ამ წარწერამ საერთო მოწონება და მხიარული სიცილი გამოიწვია.

– „შეგჭამ, ძვირფასო“, – იხუმრა ელენემ.

ამან სიცილი უფრო გააძლიერა. დგებოდა სანატრელი წუთები. ყველაფერი მზად იყო. ყველანი მზად იყვნენ, მაგრამ ისინი ელენემ შეაჩერა. ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ და რაღაცას მოელოდნენ. ელენემ დინჯად გამოაღო ბუფეტის კარი და შემდეგ, მოსხლეტით გამოიღო და ხელში აიტაცა პატარა გრაფინი.

– „ნალივკა!“ ვაშა! – წამოიძახეს მეზობლებმა. „ნალივკა“ მაგიდაზე დადგეს და პატარა ჭიქებიც გამოიტანეს.

– ახლა კი, ნამდვილი ქეიფი იწყება! – აღფრთოვანებით წამოიძახა ვერიჩკამ.

– მობრძანდით მაგიდასთან! – გაისმა ელენეს მოკლე და თავაზიანი ბრძანება. ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ. უეცრად სინათლე ჩაქრა... ბნელმა მოიცვა ტორტი, „ნალივკა“, ყვავილების თაიგული და მთელი ოთახი. ბნელმა მოიცვა მეზობლები. სიბნელეში მხოლოდ მათი სათვალეები ელავდნენ.

– რა დროს სინათლის ჩაქრობა იყო! – გაბრაზებით წამოიძახა ვერიჩკამ.

– მოვიცადოთ, ჩქარა აინთება! – დააიმედა მეზობლები ანიკომ. ისინი იდგნენ და ელოდნენ სინათლეს. ისინი მიშტერებოდნენ ელნათურას დაძაბული თვალებით.

– ელენე, ერთი „სპიჩკა“ მონახე, ლამფა ავანთოთ, თორემ შეიძლება სინათლე გვიან მოვიდეს! – სთქვა ვარვარა ნიკიფოროვნამ.

– ლამფის შუქზე რა გემო აქვს ჭამას? – იწყინა ანიკომ. ელენე ასანთის ძებნას შეუდგა. კარგა ხანს ეძება, მაგრამ ვერ მიაგნო. ახლა ვარვარა ნიკიფოროვნა გავიდა თავის ოთახში ასანთის მოსატანად. როდესაც ვარვარა ნიკიფოროვნა ასანთით ხელში უკან ბრუნდებოდა, უეცრად სინათლეც აინთო და ოთახიც განათდა.

– ჩემი სიკვდილი! – წამოიძახა ელენემ. ყველამ თვალები მაგიდისკენ გაისროლა. მაგიდაზე იდგა ორი მსუქანი კატა. იდგნენ ეს კატები და შესცქეროდნენ სურნელოვან ტორტს. ერთი მათგანი ძალიან შავი იყო, მეორე კი ძალიან ნაცრისფერი. მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, ისინი ტორტისადმი ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. შესცქეროდნენ მას გულმოდგინედ და რაღაცას უპირებდნენ. მათ კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდათ. მათი თვალები ბოროტად აღარ იყურებოდა. ისინი საამოდ იზმორებოდნენ და თვალებში უმანკოება და სათნოება ჩაღვროდათ. ისინი ვეფხვებს აღარ ბაძავდნენ. ისინი ნამდვილი კატები იყვნენ. ისინი ძალიან საყვარლები იყვნენ. ცხადია, მხოლოდ იმათთვის, ვისაც ეს ტორტი არ ეკუთვნოდა. ხოლო ქალები კი, ბრაზისგან ხმას ვეღარ იღებდნენ და თუ არა ელექტროსადგურის გეგმაზომიერი მუშაობა, ჩვენი ფისუნები ამ ტორტს ბოლოს მოუღებდნენ და ჩვენი ამბავიც სხვა სახეს მიიღებდა.

თუმცა, ტორტი უვნებელი იყო, მაგრამ გუნება მაინც წახდა. ქალები შემოუსხდნენ მაგიდას და შეუდგნენ ტორტის შევიწროებას. ვერც ვარვარა ნიკიფოროვნას ხალისიანმა სიცილმა და მახვილმა ხუმრობამ, ვერც ელენეს თავაზიანობამ ვერ დააბრუნა სუფრაზე გუნება. ტორტი საოცარი სიზუსტით იყო განაწილებული. წარწერა, რომელიც ტორტზე თეთრი კრემით იყო გამოყვანილი, ტორტის ჭამის დროს განაწილდა შემდეგნაირად: „შე,“ „მჭამე“, „ძვირ“, „ფასო“. ვარვარა ნიკიფოროვნამ „ძვირზე“ და „ფასზე“ მარილიანი ხუმრობა გამოაბა და ბუნება ოდნავ გამოკეთდა სუფრაზე. ქალების, როგორც მოწყენას, ისე გამხიარულებას დიდი მიზეზი არ სჭირდება და გუნება თანდათან დაბრუნდა სუფრაზე. ამაში ცოტაოდენი როლი „ნალივკამაც“ შეასრულა. სიხარული მწვერვალზე ადიოდა, როდესაც მიხურულ კართან გაისმა გარეთ დარჩენილი კატების საცოდავი კნავილი. ეს ოთახის სევდაა. ამ სევდამ დაიბუდა ყველა მათგანში. ვიღაცამ ამოიოხრა, გუნება წახდა. კატები დადუმდნენ. ოთახის სევდა იშლებოდა მათ სხეულში თანდათან, მაგრამ ქალების როგორც მოწყენას, ისე გამხიარულებას დიდი მიზეზი არ სჭირდებოდა და გუნება ისევ დაბრუნდა სუფრაზე. ბოლოს, ქალები მორჩნენ დროსტარებას და მხიარული სიცილით გააჩაღეს კარტისა და ნარდის თამაში. თამაში არაჩვეულებრივად ცოცხალი და აზარტული იყო...

# სახეს პირბადეშიც ამოიცნობენ

იაპონურმა ტექნოლოგიურმა კომპანიამ Glory, გადახდის ახალი, უკანტაქტო სისტემის ტესტირება დაიწყო, რომელსაც კლიენტების სახის ამოცნობა მაშინაც კი შეუძლია, როცა ისინი პირბადეს ატარებენ. მოწყობილობა, რომელსაც BioPay უწოდეს, ქალაქ ნიიგატას ათობით მაღაზიასა და რესტორანში „მუშაობს“ – საკმარისია, მომხმარებელმა კომპანიის საიტზე საკუთარი ფოტო ატვირთოს და საბანკო ანგარიში მიაბას. „ჭკვიანი სისტემის“ წყალობით, მაღაზიასა თუ რესტორანში, ერთ-ორ წამში შეიძლება გადახდა ისე, რომ პირბადის მოხსნა საჭირო არაა. ტესტირება რამდენმე თვით გაგრძელდება, ამის შემდეგ, გადახდის ახალი სისტემა ქვეყნის მასშტაბით დაინერგება.

# კორონავირუსი ჰაერში 20 წუთში კვდება



კორონავირუსის ნაწილაკები ადამიანის უჯრედების დაინფიცირების უნარს ამოსუნთქვიდან 20 წუთში, 90%-ით კარგავს. ამ ინფორმაციას ბრიტანული „გარდიანი“ ავრცელებს. ბრისტოლის უნივერსიტეტის სწავლულების დასკვნით, ვირუსი კარგავს გადადების უნარის უდიდეს პროცენტს. გარდა ამისა, მკვლევარები ინფექციის შორ დისტანციაზე გავრცელებას ნაკლებსავარაუდოდ მიიჩნევენ.

სპეციალისტების თქმით, პირბადის ტარება და დისტანციის დაცვა ინფექციის შეკავების ყველაზე კარგი საშუალებაა. სწავლულებმა ექსპერიმენტები ვირუსის სამ შტამზე ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ ჰაერში გამოფრქვევის შემდეგ, მათი სისცოცხლისუნარიანობის ხანგრძლივობა დიდად არ განსხვავდება. რაც შეეხება „ომიკრონს“, რომელიც დღეს დომინირებს მსოფლიოში, კვლევა არ ჩატარებულა.

# „სიგარეტი“ ნარკომანებისთვის?!

სწავლულებმა კოკაინიანი ელექტროსიგარეტი შექმნეეს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ნარკოდამოკიდებულები არიან. ამ გამოგონებამ მათ თავიდან უნდა ააცილოთ ზედოზირება და რეაბილიტაციის გავლისკენ უბიძგოს. გარეგნულად, crack pen ჩვეულებრივ ელექტროსიგარეტს ჰგავს. მასში არის აკუმულატორი, გამაფრქვეველი და კარტრიჯი სითხით, თუმცა ნიკოტინის ნაცვლად, კოკაინს იყენებენ. სიახლის ავტორების თქმით, ასეთი „სიგარეტი“ ნარკოტიკების კრიმინალიზაციის რისკებს აღმოფხვრის, თანაც დამოკიდებული ადამიანები მიიღებენ ნარკოტიკს, რომელიც არ იქნება გაზავებული საშიში ქიმიკატებით.

# კურკუმა კიბოს კლავს?

კურკუმინი, რომელიც კურკუმას აქტიური ინგრედიენტია, კიბოს განვითარების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს და სიმსივნური წარმონაქმნების ზრდის პროცესსაც აფერხებს. ამის შესახებ Cancer Research UK-ის მედიკოსებმა განაცხადეს. ექიმების თქმით, ანტიოქსიდანტების მაღალი კონცენტრაციის გამო, კურკუმას ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ალტერნატიულ საშუალებად მიიჩნევენ. სპეციალისტებმა ამ სანელებელს „კიბოს მკვლელი“ უწოდეს. სწავლულებმა ისიც აღნიშნეს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც კურკუმას აქტიურად მოიხმარენ, ონკოდაავადებების მქონე ადამიანების რიცხვი მნიშვნელოვნად ნაკლებია. კურკუმა სასარგებლოა თვალებისთვისაც – ამცირებს კატარაქტას წარმოქმნის, ასევე გლაუკომისა და მაკულოდისტროფიის რისკებს. სანელებელს იყენებენ ქოლესტერინის დასაწევ საშუალებადაც. თუმცა, ამასთან, კურკუმას ჭარბი მოხმარება იწვევს კუჭის აშლილობას, კუჭის მჟავიანობის მომატებას, თავბრუსხვევასა და თავის ტკივილებს.

# ქალი ვარდისფერზე დაქორწინდა

ბრიტანელი კიტენ ქეი სიერა ვარდისფერ ფერზე დაქორწინდა, რომელსაც თურმე, 40 წლის განმავლობაში „ხვდებოდა“. „მირორის“ ინფორმაციით, ქალბატონი სიერა ჯერ კიდევ 2018 წელს გახდა პოპულარული, როცა მან ვარდისფერ სახლსა და ტანსაცმელზე მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი დახარჯა. მას მსოფლიოში „ყველაზე ვარდისფერ ქალს“ უწოდებდნენ.

ქორწილში კიტენი, რასაკვირველია, ვარდისფერი ავტომობილით მივიდა, „პატარძალს“ ვარდისფერი კაბა ეცვა, ასეთივე ფერის იყო ბეჭედი და საქორწინო ტორტიც კი. „მტრედების სამყაროში მე ფლამინგო ვარ. როცა ქუჩაში გავდივარ, ყველას ნაცრისფერი ან შავი ტანსაცმელი აცვია. არავითარი ექსპრესია, არავითარი ინდივიდუალობა. არადა, ხალხს გიჟი მე ვგონივარ“, – ამბობს ბედნიერი პატარძალი.

# მრავალჯერადი „ტუალეტის ქაღალდი“ გამოიგონა

ამერიკელმა ქალმა კანზას-სიტიდან, საკუთარი მრავალჯერადი „ტუალეტის ქაღალდი“ გამოიგონა, რათა ახალ-ახალ რულონებზე ფული არ დახარჯოს. როგორც The San წერს, ქალმა საკუთარი ოჯახი აიძულა, მისი გამოგონება გამოიყენონ. ისინი ჭრიან ქსოვილს ზოლებად და ქაღალდის ნაცვლად ხმარობენ, რის შემდეგაც ნაჭერს რეცხავენ და შემდეგ ჯერზე იყენებენ. ოჯახი საკმაოდ შეძლებულ, საშუალო ფენას მიეკუთვნება, თუმცა არ აქვთ სურვილი, ტუალეტის ქაღალდზე ხარჯონ ფული.

„უკვე ხუთ წელზე მეტია, მონარჩენი ქსოვილის ნაჭრებს ვიყენებთ. ეს საშუალებას გვაძლევს, თვეში 20 დოლარზე მეტის, ხოლო წელიწადში – 240 დოლარის ეკონომია გავაკეთოთ“, – ამბობს ამ უჩვეულო „გამოგონების“ ავტორი.

# სასტუმრო აქლემებსაც გაუხსნეს

საუდის არაბეთში აქლემებისთვის სასტუმრო გახსნეს, რომელიც პირველია მსოფლიოში. აქ 50 ადამიანზე მეტი ემსახურება Rest Assured-ის 120 ნომერს. მფლობელებს შეუძლიათ, საკუთარი „უდაბნოს ხომალდები“ მეთვალყურეობის ქვეშ დატოვონ. სასტუმროს პერსონალი უვლის აქლემებს, ალაგებს ნომრებს და იცავს ცხოველებს. ხუთვარსკვლავიანი ოტელის მომსახურებაში შედის საკვები აქლემებისთვის და თბილი რძე. ერთი დღე-ღამის მომსახურება ოტელში, დაახლოებით, 400 რიალი (200 დოლარი) ჯდება.

# მანქანა, რომელიც ფერს იცვლის

ავტომობილების მწარმოებელმა გერმანულმა კომპანიამ BMW, წარადგინა მსოფლიოში პირველი ავტომობილი, რომელიც ფერს იცვლის. მანქანა ლას-ვეგასში გამართულ Consumer Electronics Show (CES) გამოფენაზე აჩვენეს. კონცეპტუალურ ავტოში, რომელსაც BMW IX Flow უწოდეს, გამოყენებულია ელექტრონული ქაღალდი (ე.წ. ელექტრონული მელანი) – ინფორმაციის ასახვის ტექნოლოგია, რომელიც შექმნილია ქაღალდზე, ჩვეულებრივი ბეჭდვის იმიტაციისთვის. მას ელექტრონულ წიგნებში იყენებენ.

ელექტრული სიგნალების ზემოქმედებით, რომელიც ტელეფონში აპლიკაციით იმართება, ზედაპირზე სხვადასხვა პიგმენტების დატანა ხდება, რის შედეგადაც ავტომობილი სხვადასხვა ფერს ან დიზაინს იღებს. მომავალში, შესაძლოა, ასეთი ცვლილება მოწყობილობების პანელიდან ერთი ღილაკის, ანდა სულაც, ჟესტების დახმარებით მოხერხდეს.

„ცხელ მზიან დღეს, შეძლებთ, მანქანა თეთრ ფერზე გადართოთ, რათა მზის სხივები აირეკლოს. ცივ დღეს კი მუქ ფერზე დააყენებთ, სითბო რომ შთანთქას“, – გვიხსნიან კომპანიის წარმომადგენლები.

# საცოლეს ბილბორდებით ეძებს

ინგლისელმა მამაკაცმა ოჯახის შესაქმნელად უჩვეულო მეთოდს მიმართა. 29 წლის მუჰამედ მალიკმა ლონდონსა და ბირმინგემში უზარმაზარი ბილბორდები განათავსა საკუთარი ფოტოებითა და ასეთი წარწერით: „გადამარჩინეთ გარიგებით ქორწინებისგან“. მისტერ მალიკი დედაქალაქში ბანკის კონსულტანტად მუშაობს და აცხადებს, რომ გარიგებით ქორწინების წინააღმდეგი არაა, მაგრამ სურს, მეორე ნახევარი დამოუკიდებლად იპოვოს. მისივე თქმით, გაცნობის არაერთ მეთოდს მიმართა, თუმცა უშედეგოდ. ცნობილია, რომ მალიკის იდეალური პარტნიორი მუსლიმი უნდა იყოს და მის ოჯახსაც კარგად შეეწყოს.

# ერთადგილიანი ოფისები მოაწყვეს

დიზაინის ჰოლანდიურმა სტუდიამ Dutch Invertuals, კომპაქტური, ერთადგილიანი ოფისების კოლექცია შექმნა ხისა და გოფირებული ალუმინის მასალისგან. ასეთი კაბინები, რომელთაც Tiny Offices უწოდეს, ნიდერლანდებში, Droomparken-ის ორ დასასვენებელ პარკში დადგეს. კომპაქტური ოფისების ფართი, დაახლოებით, 6 კვადრატული მეტრია. მათ გადაუმუშავებელი ალუმინის ფურცლებისგან აშენებენ. კარი და პატარა ფანჯრის ჩარჩო კი ხისგანაა დამზადებული. ოფისების ინტერიერები სხვადასხვა ფერადაა შეღებილი, შიდა სივრცე კი საკმაოდ კომფორტულია სამუშაოდ, თუმცა დასვენებისა და ოცნებისთვისაც არის პირობები - თითოეულ ოფისში, მოხერხებული დივანი დგას ფანჯარასთან. Dutch Invertuals-ის ერთადგილიან ოფისებს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „იდეალური სამუშაო ადგილი პანდემიისას“.

# ტანსაცმელს ავოკადოთი ღებავენ

რესტორნების საერთაშორისო ქსელმა Chipotle, რომელიც მექსიკურ სამზარეულოზეა სპეციალიზებული, ეკოლოგიურად სუფთა ტანსაცმლის კოლექცია გამოუშვა. აღსანიშნავია, რომ ეს ტანსაცმელი ავოკადოს კურკებითაა შეღებილი. კომპანიის პრეს-რელიზის მიხედვით, მათ დაწესებულებებში, ყოველწლიურად, 300 მილიონი ავოკადოს კურკა რჩება და მისი გადამუშავება აგადაწყვიტეს. პროდუქციის ახალი ხაზი Chipotle Goods მოიცავს მაისურებს, ჰუდებსა და ჩანთებს, რომლებიც ატმისფრადაა შეღებილი. ერთი ნივთის შესაღებად, დაახლოებით, ხუთი ცალი ავოკადოს კურკაა საჭირო. ახალ ხაზში სხვა პროდუქციაც შედის, რაც ნატურალური საღებავის გარეშეა შეღებილი. ერთი ასეთი უნიკალური ნივთის ღირებულება 20-დან 45 დოლარამდეა.

# შეღებილი მამაკაცების ტელეეთერში ჩვენება აკრძალეს

ამ აკრძალვას ჩინეთში იმით ხსნიან, რომ არტისტები, რომლებიც მაკიაჟს მიმართავენ, მამაკაცების ტრადიციულ წარმოდგენებს ამსხვრევენ. ახლა ტელევიზიით აღარ აჩვენებენ პიროვნებებს, რომლებიც „აზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის“ უგულებელყოფაში არიან შემჩნეულნი. ქვეყნის ხელისუფლებამ დაავალდებულა ტელეარხები, სილამაზის სტანდარტები დაადგინონ, რომელიც შესაბამისობაში იქნება ჩინეთის მორალურ ღირებულებებთან, აქცენტი უნდა გააკეთონ სოციალისტურ და ტრადიციულ ჩინურ კულტურაზე და არა გასართობ კონტენტსა და ფუფუნების დემონსტრაციაზე. გარდა ამისა, ტელევიზიებს თანამშრომლებისთვის მაღალი ხელფასების გადახდა აუკრძალეს.

# ბრენდული ჩანთები ფეკალიებისთვის

იტალიური მოდის სახლი Versace აგრძელებს ჩვენს გაოცებას. ბრენდმა გამოუშვა ტომრები საკიდიანი ჩანთით ძაღლების ფეკალიებისთვის, რომელიც დაახლოებით 245 დოლარი ღირს. ეს უჩვეულო აქსესუარი მედალიონთან ერთად იყიდება, რომელიც შეგიძლიათ შინაური ცხოველის საყელურს მიამაგროთ. როგორც ცნობილია, დღეს უკვე მთელ მსოფლიოში მიღებულია ფეკალიების გადაყრა საყვარელი ცხოველების გარეთ გასეირნების დროს. მოდის სახლმა გადაწყვიტა, არ გაუშვას ხელიდან ეს ეკოლოგიური ტრენდი და Versace-ს ფანებისთვის ასეთი ახალი აქსესუარი დაამზადა. ჩანთას ქვემოდან მოსახერხებელი ჭრილი აქვს, საიდანაც ადვილად გამოდის ტომარა ფეკალიებისთვის.

# ხორცი ლობიოსგან მიიღეს

ფინელმა სპეციალისტებმა შვრია და ლობიო გააერთიანეს, რათა ხორცის ინოვაციური, საკვები ალტერნატივა მიეღოთ. როგორც ამბობენ, გემოთი და გარეგნული სახით, მზა პროდუქტი ღორის ან საქონლის ხორცის სრულად იდენტურია. სპეციალისტებმა ეს გამოგონება უკვე დააპატენტეს. ხორცის შემცვლელის მომზადების პროცესში შვრიასა და ლობიოს ერთმანეთში ურევენ, აცხელებენ და პრესავენ. შედეგად, ცილით მდიდარ პროდუქტს იღებენ, რომლის გემოც და სტრუქტურაც ხორცისას მოგვაგონებს. ცნობილია, რომ შვრია საკვები ნივთიერებების წყაროა, ლობიო კი მეტად ღირებულ ამინომჟავებს შეიცავს. ეს ორი ინგრედიენტი შესანიშნავად ავსებს ერთმანეთს. პროექტის ავტორები მომავალში აპირებენ, ხორცის ვეგანური შემცვლელის წარმოება გააფართოვონ და საერთაშორისო ბაზარზეც გავიდნენ.

# ბედნიერება 25-ე ცოლმა მიუტანა

ნეპალის მცხოვრებმა, 49 წლის მტვირთავმა, რამანჩანდრა კატუვალმა განაცხადა, რომ 24 წარუმატებელი ქორწინების შემდეგ, როგორც იქნა, ოჯახური ბედნიერება ჰპოვა ახალ ცოლთან ერთად. ნეპალელმა და მისმა მეუღლე, შარადამ ცოტა ხნის წინ ბედნიერი ქორწინების შვიდი წლისთავი აღნიშნეს. მანამდე კი კატუვალის ცხოვრება ვერაფრით აეწყო. პირველად ის 26 წლის ასაკში დაქორწინდა, მაგრამ მალე მისი ცოლი საყვარელთან ერთად გაიქცა. მას შემდეგ წარუმატებელი ახალი კავშირები ერთმანეთს ცვლიდა, ყოფილ ცოლთაგან ზოგი ანალოგიურად მოიქცა, ზოგსაც თვითონ კატუვალი დაშორდა. ასე, 16 წლის განმავლობაში, ნეპალელმა 24 ქალზე დაქორწინება მოასწრო, თუმცა მისივე თქმით, მათგან მხოლოდ 9 ახსოვს კარგად. როცა 24-ე მეუღლემაც მიმატოვა, გადავწყვიტე, საერთოდ აღარასდროს დავქორწინებულიყავიო, ამბობს კატუვალი. მაგრამ როცა 23 წლის შარადას შეხვდა, ცდუნებას ვერ გაუძლო და კიდევ ერთხელ სცადა ოჯახის შექმნა. როგორც ჩანს, ამჯერად გაუმართლა.

# სასმელის გამო ჰომოსექსუალობა დააბრალეს

კამერუნის სასამართლომ ჰომოსექსუალიზმში დამნაშავედ სცნო მამაკაცი, რომელმაც ნაღების ლიქიორი „ბეილისი“ დალია. იქაური თემიდის მსახურები მიიჩნევენ, რომ „ქალების“ ალკოჰოლური სასმელის მიღება „დამნაშავის“ არატრადიციულ ორიენტაციაზე (კამერუნში, ეს კანონით დასჯადია) მიუთითებს. სად დალია მამაკაცმა „ბეილისი“, ან ვინ „ჩაუშვა“, უცნობია. ქვეყანაში ერთსქესიანი ურთიერთობები კანონით ისჯება 1972 წლიდან. ჰომოსექსუალიზმისთვის სასჯელს, როგორც წესი, ირიბი ბრალდების საფუძველზე იხდიან ხოლმე. სასამართლოს მიერ დამნაშავედ შერაცხულს ხუთ წლამდე პატიმრობას უსჯიან. ჯერჯერობით, უცნობია, რამდენი წლით მოხვდება გისოსებს მიღმა ნაღების ლიქიორის მოყვარული კამერუნელი.

# ყველაზე საშიში ადგილები მსოფლიოში

ერთ-ერთმა ინტერნეტ-პორტალმა პლანეტაზე არსებული ყველაზე საშიში ადგილების ჩამონათვალი გამოაქვეყნა. ამ რეგიონებში ექსტრემის მოყვარულთაგან ყველაზე დიდ ავანტიურისტებსაც კი არ ურჩევენ მოგზაურობას, რადგან ეს ადგილები ძალიან საშიშადაა მიჩნეული. რეიტინგში პირველი ადგილი კუნძულ პამრის მიაკუთვნეს - ის აზიაში, ბირმის ნაპირების სიახლოვეს მდებარეობს. მსოფლიოში ყველაზე საშიშ ადგილზე ყველგან ჭაობებია, თანაც შენიღბული. გარდა ამისა, ჭაობები კაციჭამია ნიანგებითაა სავსე...

სიის მეორე ადგილზეა „სიკვდილის გზა“, რომელიც სამხრეთ ამერიკაში, ბოლივიაში მდებარეობს. ყოველწლიურად, ამ ადგილებში 200-300 ადამიანი მაინც კვდება. ძალიან ვიწრო გზაზე ერთი მანქანისთვისაც კი არ არის ადგილი. 1930 წელს, როცა ეს გზა გაიყვანეს, ფიქრობდნენ, რომ ბუნების სილამაზე და ტერასები ტურისტებს მიიზიდავდა, ასეცაა, ამ ადგილებს ბევრი მოგზაური სტუმრობს, თუმცა აქ გავლა ძალიან საშიშია - ან გადარჩები, ან გადაიჩეხები.

მესამე „საპატიო“ საფეხურზე აშშ-ში, ლუიზიანას შტატში მდებარე მანჩაკის ჭაობია. ის 1915 წელს, საშინელი ქარიშხლის შემდეგ წარმოიქმნა. ბევრ ადგილობრივს სჯერა, რომ მის გაჩენაში ვუდუს ჯადოქრების ხელი ურევია. ჭაობის გარშემო ისეთი საშინელი ხმები ისმის, რომ ადამიანს ძარღვებში სისხლი ეყინება. მეოთხე ადგილზეა აფრიკაში, ეთიოპიის ჩრდილოეთით მდებარე უდაბნო დანაკილი - ეს მართლაც ძალიან საშიში ადგილია, რომელსაც „ჯოჯოხეთს დედამიწაზე“ უწოდებენ. თავად განსაჯეთ - 50-გრადუსიანი სიცხე, თითქმის გამდნარი ქვები ფეხქვეშ და გავარვარებული ქვიშით სავსე ორმოები...

პლანეტის ყველაზე საშიში ადგილების ტოპ-ხუთეულს თურქმენეთში მდებარე უზარმაზარი, გიგანტური გაზის კრატერი ასრულებს. აქაურები მას „ჯოჯოხეთის კარიბჭეს“ უწოდებენ. კრატერი ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის მავნე აირებს გამოყოფს. ერთხელ გეოლოგებმა სცადეს მისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ და ამგვარად გაენეიტრალებინათ, მაგრამ შეცდომა დაუშვეს. მცდელობისას რამდენიმე ადამიანი დაიღუპა, კრატერი კი დღემდე ბოლავს და წამლავს იქაურობას.

# ჩანთა და ქალის ხასიათი

იტალიელი მამაკაცები და ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ქალის ჩანთას ყველაზე დიდი ინფორმაციის მიწოდება შეუძლია მის პატრონზე. მნიშვნელობა აქვს ქალისთვის ამ აუცილებელი აქსესურის ფორმასაც და მის შიგნით მოთავსებულ ნივთებსაც. თავის დროზე, ფსიქოლოგიის „მამა“ - ზიგმუნდ ფროიდი ამტკიცებდა, რომ ქვეცნობიერად, მშვენიერი სქესი აიგივებს ჩანთას და ეს მისი ასოციაციაა სხეულის ინტიმურ ადგილებთანო. ფროიდი აქ, ალბათ, უკვე აჭარბებდა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ჩანთას ქალისთვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

რა შეიძლება გავიგოთ ჩანთის საშუალებით? მაგალითად, თუ ახლადგაცნობილ ან დიდი ხნის ნაცნობ მამაკაცთან საუბრის დროს, ქალმა მოულოდნელად ჩანთაში ქექვა დაიწყო, ესე იგი, მოსაუბრე მოსწყინდა და ერთი სული აქვს, მოშორდეს მას. თუ მანდილოსანს ეს აქსესუარი საკმაოდ დემონსტრაციულად უკავია, ესე იგი, ის ძალიან თავდაჯერებულია და მიდის შეხვედრაზე, რომლისგანაც სიამოვნებასა და კმაყოფილებას ელის.

თუ ქალი საკუთარ ხელჩანთას ახალგაცნობილი მამაკაცის სიახლოვეს დადებს ან სთხოვს, ცოტა ხნით მაინც დაუკავოს, ესე იგი, ეს მამაკაცი მოსწონს. ხოლო თუ სუსტი სქესის წარმომადგენელი ხშირად იცვლის ჩანთას, ესე იგი, მას პრობლემა აქვს საკუთარ თავთან და საკუთარ „მე“-ს ეწინააღმდეგება. პატარა ზომის ჩანთები მოსწონთ რაციონალურ, ეკონომიურ და ანგარიშიან ქალებს. საშუალო ზომის ხელჩანთას ანიჭებენ უპირატესობას რეალისტი, ჯანსაღი თვითშეფასებისა და სტაბილურობის მოყვარული მანდილოსნები. ხოლო დიდი ზომის აქსესუარს ისინი ირჩევენ, ვინც მიდრეკილები არიან სტრესისკენ, აქვთ დაუცველობის განცდა და სურთ, რომ სოციუმში რაც შეიძლება, მეტად შესამჩნევები იყვნენ. ფსიქოლოგები იმასაც ამბობენ, რომ როცა ქალი თავისი ცხოვრების სტილს იცვლის, აუცილებლად იცვლის ჩანთის ზომასაც.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.